ინსტრუქციები სასკოლო-სამოქალაქო კლუბის მუშაობისთვის

USAID
ამერიკელი ხალხისგან

PH international
ADVANCING SOCIETIES, CONNECTING PEOPLE

„ინსტრუქციები სასკოლო სამოქალაქო კლუბის მუშაობისთვის“

სასწავლო მასალა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების IX – XII კლასებისათვის

ავტორები:
ნინო გვარამაძე
ნათია ნამიჭეიშვილი

სამუშაო ჯგუფის ლიდერი: ნინო ბესელია

რედაქტორი: ნათია ნაცვლიშვილი

დიზაინერი: დავით ჯანიაშვილი

© Project Harmony, Inc., 2015
ყველა უფლება დაცულია

ISBN .....

სასწავლო მასალა მომზადდა ამერიკელი ხალხის მხარდაჭერისა და ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ძალისხმევის საფუძველზე. ერთპიროვნული პასუხისმგებლობა მოცემულ სახელმძღვანელოში ასახული ინფორმაციისა და მასში გამოთქმული მოსაზრებების თაობაზე ეკისრებათ ავტორებს და ის არ წარმოადგენს ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა ან ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის შეხედულებებს.

შესავალი

„ინსტრუქციები სასკოლო სამოქალაქო კლუბის მუშაობისთვის“

წინამდებარე მასალა შედგენილია სასკოლო სამოქალაქო კლუბში მუშაობის მსურველ მოსწავლეთა და კლუბის მეურვე მასწავლებელთა დასახმარებლად. ის ხელს შეუწყობს მკითხველს კლუბის არსის, მისი აგებულებისა და მუშაობის მიმართულებების გაგებაში, სასკოლო სამოქალაქო კლუბის საქმიანობის განხორციელებაში. საინფორმაციო ტექსტის გარდა, ბარათებში არის დავალებები, რომლებიც დაეხმარება მოსწავლეებს მასალის გაგებასა და პრაქტიკულ საქმიანობა-ში. მოცემული ვებგვერდები (ბმულები) საშუალებას მისცემს მკითხველს, გაეცნოს საინტერესო მაგალითებს კლუბების საქმიანობის შესახებ.

უცნობი სიტყვების, ტერმინების, ცნებების განმარტება მოცემულია ტექსტის გასწვრივ.

ძირითადი ბარათები გადანომრილია 1-დან 10-მდე. მე-3, მე-4, მე-6 და მე-10 ბარათებს ახლავს დამხმარე ბარათები, 3ა, 4ა, 6ა, 10ა და 10ბ.

სარჩევი

„ინსტრუქციები სასკოლო სამოქალაქო კლუბის მუშაობისთვის“

ბარათი 1 - სასკოლო სამოქალაქო კლუბი

ბარათი 2 - სასკოლო სამოქალაქო კლუბის სტრუქტურა და სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები

ბარათი 3 - სასკოლო სამოქალაქო კლუბის პირველი შეხვედრა

ბარათი 3ა - პირველი შეხვედრის ორგანიზებისათვის საჭირო დამხმარე მასალა

ბარათი 4 - სასკოლო სამოქალაქო კლუბის დაფუძნება

ბარათი 4ა - არჩევნების ორგანიზებისათვის საჭირო დამხმარე მასალა

ბარათი 5 - კლუბის წესდება და ეთიკური ნორმები

ბარათი 6 - განსახილველი საკითხის, პრობლემის იდენტიფიცირება და საჭიროებათა განსაზღვრა

ბარათი 6ა - კითხვარი

ბარათი 7 - პრობლემის გადაჭრის გზების ძიება - პარტნიორების/მხარდამჭერების მოძიება, თანამშრომლობა გადაწყვეტილების მიმღებ პირებთან

ბარათი 8 - განაცხადის მომზადება დაფინანსებისათვის/ პროექტის განსახორციელებლად საჭირო რესურსების მოძიება (განსაზღვრა)

ბარათი 9 - ადვოკატირება

ბარათი 10 - საზოგადოებასთან ურთიერთობა

ბარათი 10ა - ეფექტური პრეზენტაცია

ბარათი 10ბ - როგორ უნდა დაიწეროს პრესრელიზი?

გამოყენებული ლიტერატურა

მეორე მიმართულება გადასაჭრელ პრობლემასთან დაკავშირებით საზოგადოების ინფორმირებულობის გაზრდაა. კლუბის წევრები, პროექტის პრაქტიკულად განხორციელების პროცესში, თანამშრომლობენ საკითხით დაინტერესებულ პირებთან და უზრუნველყოფენ მათ ჩართულობას. პროექტზე მუშაობისას, საზოგადოების ამგვარი ჩართულობა ხელს უწყობს საზოგადოების წევრების სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებას. ამ მიმართულებით, შესაძლებელია, განხორციელდეს საინფორმაციო და ადვოკატირების პროექტები, რომლის მიზანიც პრობლემის პრევენცია, საზოგადოების ინფორმირება და საკითხის ადვოკატირებაა. აღსანიშნავია, რომ საზოგადოების განვითარებისათვის მუშაობისას, კლუბის წევრებს თვითონაც უვითარდებათ მნიშვნელოვანი უნარ–ჩვევები.

მაგალითად, თბილისის მე-10 საჯარო სკოლის სამოქალაქო კლუბის წევრებმა განახორციელეს პროექტი, რომლის მიზანი იყო საზოგადოების ინფორმირება ტუბერკულოზის პრობლემისა და მისი პრევენციის შესახებ. მათ ჩაატარეს მარათონი. მსვლელობა დაიწყო ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ცენტრიდან და გაგრძელდა სკოლამდე. აქციაში მონაწილეობა მიიღეს მოსწავლეებმა და მასწავლებლებმა 5 საჯარო სკოლიდან; მსვლელობის დროს მათ დაარიგეს საინფორმაციო ფლაერები ტუბერკულოზის პრევენციის გზების შესახებ.
civics.ge/uploads/journal200x280_new_pages.pdf
(გვ.23)

გარდა ამისა, შესაძლოა, კლუბის მიერ განხორციელებულმა ნებისმიერმა პროექტმა მოსახლეობას საზოგადოებრივი საქმიანობის მნიშვნელობა დაანახოს, შეცვალოს მათი დამოკიდებულება საზოგადოებრივი საქმიანობის მიმართ და გაზარდოს ჩართულობა. ყოველივე ეს ხელს შეუწყობს საზოგადოებაში სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებას.

ვინ ხელმძღვანელობს კლუბს?

კლუბს ჰყავს კლუბის წევრების მიერ არჩეული ლიდერი (მოსწავლე). ის პასუხისმგებელია კლუბის მუშაობაზე, სასკოლო სამოქალაქო კლუბს უნდა ჰყავდეს მეურვე, რომელიც ხელს შეუწყობს კლუბს დაგეგმილი მუშაობის განხორციელებაში. მეურვე შეიძლება იყოს სამოქალაქო განათლების მასწავლებელი, სხვა საგნის მასწავლებელი ან სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენელი.

რა მიზანი აქვს სასკოლო სამოქალაქო კლუბის მუშაობას?

კლუბის მუშაობის მიზნებია: წევრთა აქტიურ მოქალაქეებად ჩამოყალიბების ხელშეწყობა და ადგილობრივი და საზოგადოებრივი პრობლემების მოგვარება.

კლუბის სიმბოლიკა

კლუბს უნდა ჰქონდეს სახელწოდება, ლოგო, სლოგანი. ისინი უნდა ასახავდნენ კლუბის მუშაობის არსს.

USAID
PH international
ADVANCING SOCIETIES. CONNECTING PEOPLE

რა იცით კლუბური მუშაობის შესახებ?

- დაფიქრდით, იცნობთ თუ არა რომელიმე სასკოლო სამოქალაქო კლუბის საქმიანობას.
- როგორ მუშაობას ითხოვს კლუბი - ინდივიდუალურს, ჯგუფურს, თუ ორივეს?
- რატომ შეიძლება სურდეს მოსწავლეს სამოქალაქო განათლების კლუბში განევრიანება?
- დაფიქრდით და ჩამოაყალიბეთ, რა შეიძლება იყოს კლუბის მუშაობის მიზანი.
- მიგაჩნიათ თუ არა, რომ თქვენი სკოლისათვის მნიშვნელოვანია სასკოლო სამოქალაქო კლუბის არსებობა?
- თუ წინა კითხვაზე უპასუხეთ „დიახ“, რომელ პრობლემებზე მუშაობა მიგაჩნიათ მნიშვნელოვნად და რატომ?

სასკოლო კლუბის მუშაობის მაგალითების გაცნობა შესაძლებელია ვებგვერდზე: civics.ge

Orange Club — თსუ-ს სტუდენტების კლუბი
Model United Nations Club — მონაღირეთა კლუბი
FC BAYERN MÜNCHEN — ფეხბურთის კლუბი

1

სასკოლო სამოქალაქო კლუბი

ბარათში მოცემულია სასკოლო სამოქალაქო კლუბის ცნების განსაზღვრება, მიზნები, ფუნქციები და მუშაობის მიმართულებები

სამოქალაქო კლუბის რაობა და ფუნქციები

სიტყვა „კლუბი“ სხვადასხვაგვარად განიმარტება. ეს დამოკიდებულია კლუბის ფუნქციებსა და მასში გაერთიანებული ნევრების საქმიანობაზე. მოცემულ ბარათში განმარტებულია ზოგადად კლუბის, კონკრეტულად კი - სასკოლო სამოქალაქო კლუბის ცნება და ფუნქციები.

რა არის კლუბი?

კლუბი არის საერთო მიზნებისა და ინტერესების მქონე ადამიანთა ნებაყოფლობითი გაერთიანება.

რა ტიპის კლუბები არსებობს?

კლუბი შეიძლება იყოს სამოქალაქო, სპორტული, მუსიკალური, საქველმოქმედო, ისტორიის შემსწავლელი, ავტომობილისტთა და სხვა.

რა არის სასკოლო სამოქალაქო კლუბი?

სასკოლო სამოქალაქო კლუბი არის სკოლის მოსწავლეთა ნებაყოფლობითი გაერთიანება. სამოქალაქო განათლების კლუბის წევრებს ეძლევათ შესაძლებლობა, გაიღრმავონ სამოქალაქო განათლების გაკვეთილებზე მიღებული ცოდნა, გამოიმუშაონ აქტიური მოქალაქის უნარ-ჩვევები და, თავიანთი პრაქტიკული საქმიანობით, ხელი შეუწყონ სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებას.

სასკოლო სამოქალაქო კლუბის წევრები ცდილობენ, დისკუსიების, დებატების, სასკოლო პროექტების საშუალებით, გამოავლინონ, გამოიკვლიონ მათ კლასში, სკოლაში, თემში, საზოგადოებაში არსებული პრობლემები და იმოქმედონ ამ პრობლემების გადასაჭრელად. სწორედ ამ მიზნით, კლუბის წევრები ქმნიან პროექტებს, მოიძიებენ დონორ ორგანიზაციებს, ან მოხალისეობრივ საწყისებზე მუშაობენ პრობლემის გადასაჭრელად. თანამშრომლობენ გადასაჭრელი პრობლემით დაინტერესებულ პირებთან (სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან). საჭიროების შემთხვევაში, პრობლემის გადაჭრის მიზნით, ახდენენ შესაბამის სტრუქტურებში ამა თუ იმ საკითხის შესახებ **ადვოკატირებას** (იხ. ბარათი 9).

კლუბური მუშაობა ხელს უწყობს მოსწავლეებში სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებასა და მათ აქტიურ მოქალაქეებად ჩამოყალიბებას, გაკვეთილზე მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკულად გამოყენებას.

ადვოკატირება *საზოგადოებრივი ინტერესების დაცვის ერთგვარი მეთოდია. მისი მიზანია გადაწყვეტილების მიმღებ პირებზე ზემოქმედება. ზემოქმედების შედეგად, გარკვეული ცვლილებები მიიღწევა (მაგალითად, კანონების მიღება) იმ ჯგუფთან დაკავშირებით, რომლის ინტერესების დაცვასაც ითვალისწინებენ.*

რა მიმართულებით მუშაობს სასკოლო სამოქალაქო კლუბი?

სასკოლო სამოქალაქო კლუბი, ძირითადად, ორი მიმართულებით მუშაობს:

პირველი მიმართულება კლუბის წევრების თვითგანვითარებაა. მოსწავლეები იძენენ თეორიულ ცოდნას გადასაჭრელ პრობლემასთან დაკავშირებით.

ამ დროს კლუბის წევრები იკრიბებიან და აგროვებენ ინფორმაციას გამოვლენილი პრობლემის ან შესასწავლი საკითხის შესახებ, მედიის, გამოკითხვის, ადგილობრივი და საერთაშორისო კანონმდებლობის მოძიების საშუალებით. ამ მიზნით, შესაძლოა, მოსწავლეებმა მოინვიონ განსახილველი საკითხის სპეციალისტი.

სპეციალისტმა შეიძლება ერთჯერადი დახმარება გაუწიოს კლუბის წევრებს ან ჩაატაროს ლექციების კურსი ან ტრენინგი.

მაგალითად, 2014 წლის 30 აპრილს, ქ.ქუთაისის მე-2 საჯარო სკოლაში, სამოქალაქო განათლების კლუბის წევრებისათვის, ქუთაისის განათლების განვითარებისა და დასაქმების ცენტრის სოციალური მედიის კოორდინატორმა ჩაატარა ტრენინგი სოციალური მედიის საკითხებზე. kedec.ge/page/9

PR ჯგუფი ანუ საზოგადოებასთან ურთიერთობის ჯგუფი

უზრუნველყოფს საზოგადოებასთან ურთიერთობას და აერთიანებს შემდეგი ჯგუფების მუშაობას:

ა. PR ღონისძიებების ჯგუფი წერს და გამოსცემს **პრესრელიზებს**, აკეთებს პრეზენტაციებს, აწყობს გამოფენებს და ფოტორეპორტაჟებს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ავრცელებს ინფორმაციას კლუბის მუშაობის შესახებ.

ბ. სოციალური მედიის ჯგუფი ინტერნეტსივრცეში ავრცელებს ინფორმაციას კლუბის მუშაობის შესახებ, ამზადებს ანგარიშებს, მოიპოვებს მასალას სხვა სამოქალაქო კლუბების მუშაობაზე, აგრეთვე, პასუხისმგებელია, გააცნოს კლუბის წევრებს სიახლეები, რომლებიც კლუბის მუშაობისთვისაა საჭირო. მაგალითად, **დონორი ორგანიზაციის** მიერ გამოცხადებული კონკურსი, რომელში გამარჯვების შემთხვევაშიც, კლუბი მიიღებს დაფინანსებას პროექტის განსახორციელებლად. (პრაქტიკული ინფორმაციისათვის ეწვიეთ ვებგვერდს www.initiatives.ge)

კლუბში შემავალი ჯგუფები

სამოქალაქო კლუბების მუშაობა საკმაოდ მრავალფეროვანია. ამიტომ მრავალწევრიანი კლუბის შემთხვევაში, შეიძლება თემატური ჯგუფებიც შეიქმნას, მაგალითად: ეკოჯგუფი, რომელიც ეკოლოგიის თემატიკაზე იმუშავებს, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ჯგუფი და სხვ.

კონკრეტული პროექტის განხორციელებისას, შესაძლებელია მოსწავლეთა სხვაგვარი გადანაწილებაც.

PR - *(ინგლ. public relations - საზოგადოებრივი კავშირები) მოღვაწეობა საზოგადოებრივი აზრის ჩამოსაყალიბებლად. მისი შესატყვისი ქართული ტერმინი არის „საზოგადოებასთან ურთიერთობა“.*

პრესრელიზი *(ინგლ. press release - გამოცემა პრესისათვის) - ბიულეტენი მასალებით, რომლებიც სასწრაფო პუბლიკაციას მოითხოვს. გარდა პრესისა, პრესრელიზი ეგზავნება სხვა დაინტერესებულ ორგანიზაციასა და პირს.*

დონორი ორგანიზაცია *- გარეშე დამფინანსებელი ორგანიზაცია.*

დავალება 1

- დააკვირდით ზემოთ მოყვანილ სქემას. რომელ ჯგუფში ისურვებდით მუშაობას? ნუ შემოიფარგლებით ერთი ჯგუფით;
- დაფიქრდით, რატომ არის ესა თუ ის ჯგუფი თქვენთვის უფრო საინტერესო, ვიდრე სხვა;
- რა განსაკუთრებული ცოდნა ან უნარ-ჩვევები გაგაჩნიათ, რომელიც ამ ჯგუფს გამოადგება?
- შესაძლოა, არ თვლიდეთ, რომ განსაკუთრებული უნარ-ჩვევა გაქვთ, მაგრამ შესაძლებელია, რომელიმე საქმიანობის მიმართ განსაკუთრებული ინტერესი გქონდეთ;
- შესაძლოა, კლუბის ლიდერობა გსურთ. ჩამოაყალიბეთ, რამ განაპირობა თქვენი სურვილი და რის გაკეთებას აპირებთ ამ პოზიციაზე;
- შესაძლოა, კლუბის წევრებმა წარადგინონ თქვენი კანდიდატურა ლიდერის პოზიციაზე. შეგიძლიათ, თავადაც წარადგინოთ საკუთარი თავი.

დავალება 2

მრავალრიცხოვან კლუბში ვერ შედგა სოციალური მედიის ჯგუფი, ვინაიდან კლუბის წევრებს არ აქვთ სათანადო ცოდნა.

რას ურჩევდით კლუბის წევრებს? ქვემოთ მოცემულია რამდენიმე პასუხი. დაასაბუთეთ თითოეული შეთავაზების დადებითი და უარყოფითი მხარეები.

1. შეეცადონ, თვითონ გაერკვნენ სოციალური მედიის საკითხებში;

2. დახმარება სთხოვონ მეგობარს, რომელიც კლუბის წევრი არაა;

3. დახმარება სთხოვონ მასწავლებელს;

4. განახორციელონ პროექტი „ტრენინგი კლუბის წევრებისათვის სოციალურ მედიაში“.

USAID
PH international
ADVANCING SOCIETIES. CONNECTING PEOPLE

2

სასკოლო სამოქალაქო კლუბის სტრუქტურა და სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები

ბარათში მოცემულია მასალა კლუბის აგებულებისა და მისი წევრების ფუნქციებისა და პასუხისმგებლობის შესახებ

კლუბის სტრუქტურა

კლუბის მუშაობაში ჩართულნი არიან:

ა. კლუბის წევრები;
ბ. კლუბის ლიდერი;
გ. მეურვე მასწავლებელი.

იხილეთ კლუბის სტრუქტურის ამსახველი სქემა, რომელიც გათვალისწინებულია მრავალი წევრისაგან შემდგარი კლუბებისათვის. თუ კლუბი არც ისე მრავალრიცხოვანია, ერთმა ჯგუფმა (ან თუნდაც ერთმა მოსწავლემ) შეიძლება შეასრულოს ორი ჯგუფის (ან ქვეჯგუფის) ფუნქცია (მაგალითად, არ გაიყოს ქვეჯგუფებად საგანმანათლებლო ჯგუფი, ან კვლევის ჯგუფმა შეითავსოს ადვოკატირების ჯგუფის ფუნქციები). პასუხისმგებლობების გადანაწილება მცირე კლუბებშიც ანალოგიურად უნდა მოხდეს, ინდივიდუალურად, წევრებს შორის (საგანმანათლებლო საქმიანობაზე პასუხისმგებელი, კვლევაზე პასუხისმგებელი, საზოგადოებასთან ურთიერთობაზე პასუხისმგებელი და ადვოკატირებაზე პასუხისმგებელი პირები).



კლუბის სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები

სასკოლო სამოქალაქო კლუბის წევრობა ნებაყოფლობითია და მასში ერთი სკოლის მოსწავლეები ერთიანდებიან.

კლუბის ლიდერს ირჩევენ წევრები. იგი პასუხისმგებელია კლუბის მუშაობაზე. აქტიურად თანამშრომლობს კლუბის მეურვესთან და წევრებთან.

კლუბის მეურვე არის სამოქალაქო განათლების ან სხვა საგნის მასწავლებელი, ან სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენელი. ის, კლუბის ლიდერთან ერთად, კოორდინაციას უწევს კლუბის მუშაობას, საჭიროების შემთხვევაში, ერთვება მუშაობაში პროექტის განხორციელების სხვადასხვა ეტაპზე. ეხმარება კლუბს სკოლის დირექციასთან, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან ურთიერთობაში. კლუბის მეურვის საქმიანობის მიზანია სამოქალაქო განათლების ხელშეწყობა. ამ მიზნის მისაღწევად, კლუბის წევრებთან ერთად, ის ქმნის საშუაო ჯგუფებს; ასნავლის და რჩევებს აძლევს კლუბის წევრებს, როგორ იმუშაონ კლუბში.



საგანმანათლებლო ჯგუფი აერთიანებს 2 ქვეჯგუფს:

ა. კლუბის წევრთა განვითარებაზე პასუხისმგებელ ქვეჯგუფს, რომელიც ადგენს კლუბის წევრთა საჭიროებებს და ორგანიზებას უწევს კლუბის წევრების შეხვედრებსა და ტრენინგებს.

ბ. ქვეჯგუფს, რომელიც პასუხისმგებელია ლექციების, სემინარების ან ტრენინგების ჩატარებაზე, სკოლის დანარჩენი მოსწავლეებისათვის ან თემის სხვა წევრებისათვის.

საგანმანათლებლო პროგრამების განსახორციელებლად ხშირად საჭიროა გარე ექსპერტთა დახმარება. მნიშვნელოვანია ექსპერტის სწორად შერჩევა. მოცემულ ბმულზე შეგიძლიათ გაეცნოთ პრაქტიკულ მაგალითს, გარე ექსპერტის ჩართულობასთან დაკავშირებით.
civics.ge/index.php?m=6&newsid=632

კვლევის ჯგუფი აგროვებს საჭირო ინფორმაციას კლუბის საქმიანობისათვის. ადგენს თემში არსებულ პრობლემებს, რომელთა მოგვარებაზეც შეიძლება იზრუნოს კლუბმა. ასევე, კვლევის ჯგუფი, პრობლემის ანალიზის ეტაპზე, კრებს საჭირო ინფორმაციას.

ადვოკატირების ჯგუფი ირჩევს პრობლემას, რომლის მოგვარებისთვის სასკოლო კლუბის ძალები საკმარისი არაა. ჯგუფი ცდილობს, მაქსიმალურად ჩართოს პრობლემის მოგვარებაში სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციები, **მედია**, მოსახლეობა და აღჭურვოს ის სათანადო ცოდნით. (იხ. ბარათი 9 ადვოკატირება)
civics.ge/index.php?m=6&newsid=640

მედია - *მასობრივი კომუნიკაციის, ინფორმაციის გავრცელების, დაგროვებისა და გაცვლის საშუალება. ძირითადად, მოიაზრება პრესა, ტელევიზია და ინტერნეტი.*

ინფორმაციის გავრცელება პირველი შეხვედრის შესახებ

• უნდა შეირჩეს პირველი შეხვედრის შესახებ ინფორმაციის გავრცელების ფორმა. ინფორმაციის გავრცელებისათვის უნდა მომზადდეს განცხადება (ბარათი 3ა მოწვევა კლუბის პირველ შეხვედრაზე; განცხადება). ასევე, შეიძლება სოციალური ქსელების გამოყენება, თუ სკოლა მათი აქტიური მომხმარებელია.

• შესაძლებელია სკოლაში განცხადებებისათვის განკუთვნილი დაფის, სკოლის დერეფნების, სკოლის ვებგვერდის, ან Facebook–ის გვერდის გამოყენება, ასევე, მოკლე ზეპირი განცხადებების გაკეთება კლასებში. ინფორმაციის გავრცელებისათვის არჩევანის გაკეთება შეიძლება ზემოხსენებული ფორმებიდან ერთ–ერთზე, ან ყველაზე ერთად. ინფორმაციის გავრცელების მრავალფეროვანი ხერხების გამოყენება ზრდის მის მიმღებთა რაოდენობას. გავრცელებული ინფორმაცია უნდა იყოს მოკლე, საინტერესო, უნდა შეიცავდეს შეხვედრის მიზანს, დროს, ადგილს.

შეხვედრის წარმართვა

• შეხვედრის დაწყებამდე კიდევ ერთხელ უნდა შემოწმდეს ტექნიკა და ყველა საჭირო მასალა;

• შეხვედრა უნდა დაიწყოს დანიშნულ დროს. ორგანიზატორებმა არ უნდა გააღიზიანონ დამსწრე საზოგადოება არაპუნქტუალობით;

• აუცილებელია შეხვედრის მონაწილეთა რეგისტრაცია (სარეგისტრაციო ფორმა უნდა მოიცავდეს ინფორმაციას მონაწილეების შესახებ: სახელი, გვარი; კლასი; საკონტაქტო ინფორმაცია – მისამართი, ტელეფონი, ელფოსტა);

• ორგანიზატორებმა უნდა გააცნონ მონაწილეებს შეხვედრის მიზნები და დღის წესრიგი;

• უნდა გაკეთდეს პრეზენტაცია კლუბის სტრუქტურისა და სტრუქტურული ერთეულების ფუნქციებისა და მოვალეობების შესახებ (იხ. ბარათი 2; 4);

• კითხვა–პასუხს უნდა დაეთმოს დრო; მნიშვნელოვანია, მონაწილეებმა ყველა კითხვაზე მიიღონ პასუხი;

• უნდა დარიგდეს დამატებითი მასალა (ასეთის არსებობის შემთხვევაში, იხ. ბარათი 10);

• მნიშვნელოვანია ფოტოების გადაღება სამუშაო პროცესში, ეს მომავალში გამოდგება ღონისძიების ჩატარების შესახებ საანგარიშო მასალის მომზადებისთვის (იხ. ბარათი 10);

• ორგანიზატორებმა უნდა შესთავაზონ კლუბის წევრობის მსურველებს ანკეტის (ბარათი 3ა სამოქალაქო კლუბის წევრობის ანკეტა) შევსება კლუბში გაწევრიანებისათვის (არ არის აუცილებელი, ყველამ პირველივე შეხვედრაზე შეავსოს ანკეტა, შეხვედრის მონაწილეებს უნდა მიეცეთ დრო გადაწყვეტილების მისაღებად);

• უნდა განისაზღვროს მომდევნო შეხვედრის დრო და ადგილი. დასახელდეს საკონტაქტო პირი, ვისაც შეიძლება მიმართონ კლუბის წევრობის მსურველებმა და კლუბის საქმიანობით დაინტერესებულმა პირებმა;

• ორგანიზატორებმა უნდა შეაჯამონ შეხვედრა, დაემშვიდობონ და მადლობა გადაუხადონ მონაწილეებს, ასევე, იმ პირებს, რომლებიც შეხვედრის ორგანიზებაში დაეხმარნენ და მხარი დაუჭირეს.

USAID
PH international
ADVANCING SOCIETIES. CONNECTING PEOPLE

შეხვედრის შეფასება

შეხვედრის დასრულების შედეგ ორგანიზატორებმა რამდენიმე წუთი უნდა დაუთმონ ჩატარებული სამუშაოს შეფასებას, კრიტიკულად უნდა მიუდგნენ თავიანთ ნამუშევარს. შეაფასონ, რამდენად სწორად იყო დაგეგმილი შეხვედრა, მიაღწიეს თუ არა დასახულ მიზანს, რას გაუმჯობესებდნენ და რას გაითვალისწინებდნენ სხვა ღონისძიებების დაგეგმვისას. შეფასებისას უნდა გამოიყენონ წარმატებული შეხვედრის ინდიკატორები (ბარათი 3ა წარმატებული შეხვედრის ინდიკატორები).

3

სასკოლო სამოქალაქო კლუბის პირველი შეხვედრა

ბარათში მოცემულია ინფორმაცია სასკოლო სამოქალაქო კლუბის პირველი შეხვედრის მომზადებისა და წარმართვის შესახებ

სასკოლო სამოქალაქო კლუბის პირველი შეხვედრის მიზანი

კლუბის პირველი შეხვედრის მიზანია მოსწავლეებისათვის სასკოლო სამოქალაქო კლუბის მნიშვნელობის, საქმიანობის გაცნობა; სასკოლო სამოქალაქო კლუბის მუშაობაში მომავალი წევრების ჩართულობისა და აქტიური მუშაობის შედეგების გაანალიზება.

შეხვედრაზე კლუბის პოტენციური წევრები მიიღებენ ინფორმაციას სასკოლო სამოქალაქო კლუბის საქმიანობის ძირითადი პრინციპების, სტრუქტურისა და სტრუქტურული ერთეულების, კლუბის ლიდერის, ნევრების, ფუნქციების, უფლება-მოვალეობების შესახებ.

შეხვედრის გეგმის შემუშავება

წინასწარ უნდა განისაზღვროს ერთი ან რამდენიმე პირი (მოსწავლე), რომელიც ჩაერთვება შეხვედრის ორგანიზებაში. პირველი შეხვედრა სამოქალაქო კლუბის მეურვესთან ერთად უნდა მომზადდეს. შეხვედრის ორგანიზებისათვის და მისი წარმატებული განხორციელებისათვის აუცილებელია გეგმის შემუშავება, რაც ხელს შეუწყობს იმის განსაზღვრას, თუ ვინ, სად, როდის, ვისთვის, როგორ მოამზადებს შეხვედრას, ზოგჯერ დეტალებს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, მათი გათვალისწინება კი წარმატებულს გახდის შეხვედრას.

გეგმა

- შეხვედრის ორგანიზატორებს შორის ფუნქციების გადანაწილება;
- შეხვედრის დროისა და ადგილის შერჩევა;
- სკოლის ადმინისტრაციასთან (დირექტორი, დირექტორის მოადგილე) თანამშრომლობა (დაგეგმილი საქმიანობების გაცნობა, შეხვედრისთვის სივრცისა და ტექნიკის გამოყოფა);
- საჭირო მასალების (განცხადება, პრეზენტაცია, ანკეტა, სარეგისტრაციო ფორმა, დღის წესრიგი, **ფლაერი**, ტექნიკა და ა.შ.) მომზადება;
- შეხვედრის შესახებ ინფორმაციის გავრცელება;
- შეხვედრის წარმართვა;
- შეფასება.

ფლაერი - *მცირე ზომის საინფორმაციო ფურცელი.*

შეხვედრის ორგანიზატორებს შორის ფუნქციების გადანაწილება

- აუცილებელია, რომ შეხვედრის ორგანიზატორებმა ფუნქციები გადაინაწილონ (ინფორმაციის გავრცელება, შეხვედრის ადგილის შერჩევა და დროის განსაზღვრა, ტექნიკური უზრუნველყოფა, მასალების მომზადება, სკოლის ადმინისტრაციასთან თანამშრომლობა, შეხვედრის წარმართვა, პრეზენტაცია და ა.შ.).
- უნდა განისაზღვროს სამიზნე აუდიტორია, ვისთვისაა განკუთვნილი პირველი შეხვედრა.

შეხვედრის დროისა და ადგილის შერჩევა

- შეხვედრის მოსაწყობად უნდა შეირჩეს შესაბამისი ადგილი (სკოლის სააქტო დარბაზი, ბიბლიოთეკა, სკოლასო ოთახი), სადაც მონაწილეები თავისუფლად განთავსდებიან;
- შეხვედრისათვის უნდა შეირჩეს ოპტიმალური დრო. შეხვედრა არ უნდა ჩატარდეს საგაკვეთილო საათებში, იგი უნდა მოეწყოს გაკვეთილების შემდეგ, ასევე, უმჯობესია, შეხვედრის თარიღი და დაწყების დრო არ ემთხვეოდეს სკოლაში სხვა მნიშვნელოვან ღონისძიებას, რომელზეც პირველი შეხვედრის პოტენციურ მონაწილეთა დასწრება აუცილებელია;
- სწორად უნდა განისაზღვროს შეხვედრის ხანგრძლივობა. უმჯობესია, მონაწილეები პირველ შეხვედრაზე ძალიან არ გადაიტვირთონ. პრეზენტაციისათვის უნდა გამოიყოს 10-15 წუთი, კითხვა–პასუხისათვის – 15-20 წუთი, მონაწილეთა რეგისტრაციისათვის – 5-10 წუთი.

საჭირო მასალების (განცხადება, პრეზენტაცია, ანკეტა, სარეგისტრაციო ფორმა, დღის წესრიგი, ტექნიკა და ა.შ.) მომზადება

- უნდა მომზადდეს შეხვედრის დღის წესრიგი (ბარათი 3ა დღის წესრიგი), შეხვედრის მიზნის შესაბამისად. დღის წესრიგი ასახავს შეხვედრის შინაარსს, ფორმატს, საჭირო დროს.
- უნდა მომზადეს საინფორმაციო შეხვედრაზე გასაავრცელებელი ინფორმაცია (ფლაერი) და სხვა ბეჭდური მასალა (სარეგისტრაციო ფორმა, დღის წესრიგი, კლუბის ნევრობის ანკეტა); უნდა ჩამოყალიბდეს ინფორმაციის მიწოდების ხერხები და გზები - პრეზენტაცია, ლექციური

ჩართვა, მიმართვა. მასალები ისე უნდა მომზადდეს, რომ დამსწრე აუდიტორია დაინტერესდეს მიწოდებული ინფორმაციით (იხ. ბარათი 10ა – ეფექტური პრეზენტაცია);

- უნდა დაიგეგმოს, რა ტექნიკური საშუალებებია საჭირო შეხვედრის ორგანიზებისათვის (კომპიუტერი, პრინტერი, პროექტორი, მიკროფონი, ფოტოაპარატი და ა.შ.);
- ტექნიკური საშუალებების გამოყენების შემთხვევაში, წინასწარ უნდა შემოწმდეს მათი გამართულობა.

სკოლის ადმინისტრაციასთან თანამშრომლობა (დაგეგმილი საქმიანობების გაცნობა შეხვედრისათვის სივრცისა და ტექნიკის გამოყოფა)

- შეხვედრის ორგანიზატორებმა უნდა ითანამშრომლონ სკოლის ადმინისტრაციასთან. მათი ინფორმირება დაგეგმილი ღონისძიებებისა და სამომავლო გეგმების შესახებ სამოქალაქო კლუბის წარმატებული მუშაობისათვის ძალზე მნიშვნელოვანია;
- შეხვედრის ორგანიზატორები უნდა შეუთანხმდნენ სკოლის ადმინისტრაციას, შეხვედრის მოსაწყობად სივრცის (სააქტო დარბაზი, ბიბლიოთეკა, სკოლასო ოთახი და ა.შ.) გამოყოფისა და ტექნიკური საშუალებების (კომპიუტერი, პროექტორი, პრინტერი, ფოტოაპარატი) გამოყენების შესახებ, თუმცა მინიმალური რესურსებითაც (სკოლასო ოთახი, ფურცელი, საწერკალამი) შესაძლებელია მსგავსი შეხვედრის ორგანიზება.

წარმატებული შეხვედრის ინდიკატორებია:

- მონაწილეთა რაოდენობა შეესაბამება მოლოდინს;
- მონაწილეთა მიერ დაისვა ბევრი შეკითხვა;
- მონაწილეები გამოთქვამენ ინტერესს, თავიანთ თანატოლებსაც გაუზიარონ შეხვედრაზე მიღებული ინფორმაცია;
- მონაწილეები აქტიურობენ მომდევნო შეხვედრის დროის შეთანხმებისას;
- მონაწილეთა უმრავლესობა გამოთქვამს სურვილს, დაესწროს მომდევნო შეხვედრას;
- მონაწილეთა უმრავლესობამ შეხვედრა დატოვა მხოლოდ მისი დასრულების შემდეგ, და არა - მანამდე;
- ტექნიკური მხარე (რესურსები, ტექნიკური საშუალებები) არ ქმნის პრობლემებს მუშაობის პროცესში.



3ა

პირველი შეხვედრის ორგანიზებისათვის საჭირო დამხმარე მასალა

სასკოლო სამოქალაქო კლუბის პირველი შეხვედრა

დღის წესრიგი

4 თებერვალი, 2015წ. **ქ. ქუთაისი, 32-ე საჯარო სკოლა**

ხუთშაბათი, 4 თებერვალი 2015წ.

15:00-15:10	მონაწილეთა რეგისტრაცია
15:10–15:20	მისალმება და შეხვედრის მიზნების გაცნობა
15:20–15:40	პრეზენტაცია – სასკოლო სამოქალაქო კლუბის შესახებ
15:40–16:00	კითხვა - პასუხი

მოწვევა კლუბის პირველ შეხვედრაზე

ყველას! ყველას! ყველას!

- გსურთ, გახდეთ აქტიური მოქალაქე და თქვენი წვლილი შეიტანოთ სკოლისა და თემის განვითარებაში?
- გაინტერესებთ, ბევრი გაიგოთ სასკოლო სამოქალაქო კლუბის მუშაობის შესახებ?

მაშინ გვეწვიეთ სასკოლო სამოქალაქო კლუბის პირველ შეხვედრაზე 2015 წლის 4 თებერვალს, 15:00 საათზე, სკოლის სააქტო დარბაზში.

გელოდებით!

წინ უამრავი საინტერესო რამ გელოდებათ!

დამატებითი ინფორმაციისათვის, გთხოვთ, მოგვმართოთ:
IX კლასის მოსწავლე (სახელი, გვარი) – ტელეფონი
კლუბის მეურვე, პედაგოგი (სახელი, გვარი) – ტელეფონი

განცხადება

2015 წლის 4 თებერვალს, 15:00 საათზე, სკოლის სააქტო დარბაზში გიწვევთ სასკოლო სამოქალაქო კლუბის პირველ შეხვედრაზე.

კლუბის მუშაობის მიზანია: ახალგაზრდების გააქტიურება და მათი ჩართვა სკოლისა და თემის, ადგილობრივი და საზოგადოებრივი პრობლემების მოგვარებაში.

შეხვედრაზე დასწრება შეუძლია სკოლის მოსწავლეს, რომელსაც აინტერესებს სამოქალაქო კლუბში გაწევრიანება.

დამატებითი ინფორმაციისათვის, გთხოვთ, მოგვმართოთ:

სახელი, გვარი (მოსწავლე) – ტელეფონი

სახელი, გვარი (კლუბის მეურვე, პედაგოგი) – ტელეფონი.

სასკოლო სამოქალაქო კლუბის წევრობის ანკეტა

სახელი, გვარი . . . . . .

კლასი . . . . . .

საკონტაქტო ინფორმაცია
(მისამართი, ტელეფონი, ელფოსტა)

. . . . . .

ჩემი ინტერესები . . . . . .

. . . . . .

. . . . . .

. . . . . .

რატომ არის ჩემთვის მნიშვნელოვანი სასკოლო სამოქალაქო კლუბში მუშაობა, რას მოველი ამ საქმიანობისაგან?

. . . . . .

. . . . . .

თარიღი: . . . . . .

• ყურადღებით უნდა შეჯამდეს შედეგები და შეივსოს საარჩევნო შედეგების შემაჯამებელი ოქმი (ბარათი 4ბ სამოქალაქო კლუბის ლიდერის არჩევნების კენჭისყრის შემაჯამებელი ოქმი);

• კლუბის მეურვე აქტიურად მონაწილეობს ლიდერის არჩევის პროცესში. იგი აძლევს ინსტრუქციებს კლუბის წევრებს, უზრუნველყოფს პროცესის სამართლიანად და ობიექტურად წარმართვას, საჭიროების შემთხვევაში, ეხმარება ლიდერობის კანდიდატებს სამოტივაციო წერილის მომზადებაში, საარჩევნო კომისიას - არჩევნების ორგანიზებაში. კონკრეტულ რჩევებს აძლევს კლუბის წევრებს, რა კრიტერიუმებით (აქტიური, ინიციატივის მქონე, საქმიანი, სანდო, მიზანდასახული, შეუძლია თანამშრომლობა და ა.შ.) უნდა იქნეს არჩეული ლიდერი.



როგორ მოვაწყოთ სამოქალაქო კლუბის ოთახი, სამუშაო სივრცე; როგორ მოვახდინოთ საჭირო რესურსების მობილიზება

• სამოქალაქო კლუბის წარმატებული ფუნქციონირებისათვის კლუბის წევრებს უნდა ჰქონდეთ სამუშაო ოთახი, სივრცე ან კუთხე სკოლაში, რათა მათ შეძლონ შეკრება, შეხვედრების ორგანიზება და სამუშაო მასალების შენახვა;

• კლუბის ლიდერმა, კლუბის წევრების სახელით, უნდა მიმართოს სკოლის ადმინისტრაციას, რათა მან გამოყოს სამოქალაქო კლუბისათვის სივრცე (ოთახი ან კუთხე), შესაბამისი ინვენტარით (მაგიდა, სკამები, მერხები, კარადა, თარო), სადაც 10–30 მოსწავლეს ექნება ერთდროულად შეკრების შესაძლებლობა (ბარათი 4ბ, განცხადება); კარგია, თუ სკოლის ადმინისტრაცია სამოქალაქო კლუბისთვის გამოყოფს ტექნიკასა (კომპიუტერი, პროექტორი, პრინტერი, ფოტოაპარატი, ვიდეოკამერა) და საკანცელარიო ნივთებს (ფლიპჩარტი, მარკერები, ფურცლები, ამკინძავი და ა.შ.), ან გამოყოფს შესაბამის პასუხისმგებელ პირს, რომელიც უზრუნველყოფს კლუბის საქმიანობის მხარდაჭერას, თუმცა მინიმალური რესურსებითაც (ფურცელი, კალამი) შესაძლებელია პირველი პროექტების განხორციელება;

• სამოქალაქო კლუბის ოთახის კარზე უნდა განთავსდეს აბრა, კლუბის სახელითა და ლოგოთი;

• უნდა მომზადდეს სამოქალაქო კლუბის საქმიანობის ამსახველი ფოტორეპორტაჟები, განცხადებები და გაიკრას კლუბის მიმდებარე ტერიტორიაზე.

4

სასკოლო სამოქალაქო კლუბის დაფუძნება

ბარათში მოცემულია ინფორმაცია სასკოლო სამოქალაქო კლუბის დაფუძნების, კლუბის სახელის, ლოგოს, სლოგანის შერჩევის, კლუბის ლიდერის არჩევნების ორგანიზების, წევრთა შორის ფუნქციების განაწილების, სამუშაო მარემოს მოწყობის შესახებ

სასკოლო სამოქალაქო კლუბის დაფუძნება

• პირველი შეხვედრის შემდეგ წინასწარ განსაზღვრულმა პირმა/პირებმა (მოსწავლე), სამოქალაქო კლუბის მეურვესთან ერთად, უნდა დაგეგმოს მორიგი შეხვედრაც, რათა დაიწყოს პრაქტიკული მუშაობა;

• დაგეგმვის პროცესში ორგანიზატორებმა უნდა გამოიყენონ პირველი შეხვედრის ორგანიზებისას მიღებული გამოცდილება (ბარათი 3);

• კლუბის მომავალ წევრებს პასუხისმგებელმა პირმა უნდა გააცნოს სამუშაო დღის წესრიგი, კიდევ ერთხელ უნდა შეახსენოს მათ სამოქალაქო კლუბის მიზნები, სტრუქტურა, ლიდერისა და წევრების ფუნქციები და მოვალეობები (ბარათი 2);

• ორგანიზატორებმა უნდა მიაქციონ ყურადღება, რომ ყველა მსურველმა შეავსოს კლუბის წევრობის ანკეტა;

• ორგანიზატორებმა კლუბის პოტენციურ წევრებს უნდა მისცენ არჩევანის დრო და საშუალება, რათა მათ თავად გადაწყვიტონ, რა როლის შესრულება სურთ სამოქალაქო კლუბში: ლიდერის, წევრის, რომელიმე კონკრეტული სამუშაო ჯგუფის წევრის.

ფუნქციების განაწილება, კლუბის სახელის, ლოგოს, სლოგანის შექმნა

• კლუბის წევრებს უნდა მიეცეთ არჩევანის საშუალება, თავიანთი სურვილის მიხედვით გაერთიანდნენ სამუშაო ჯგუფებში. სამოქალაქო კლუბის 1 წევრს შეუძლია გაერთიანდეს, მინიმუმ, ერთ და, მაქსიმუმ, ორ სამუშაო ჯგუფში*.

* **შენიშვნა** - *მცირერიცხოვანი სასკოლო სამოქალაქო კლუბი, რომელშიც ცოტა წევრია, არ იყოფა სამუშაო ჯგუფებად, კლუბის წევრები იღებენ პასუხისმგებლობას ადვოკატირების, კვლევის, PR და საგანმანათლებლო ღონისძიებების განხორციელებაზე.*

დავალება 1

• კლუბის ლოგოს, სახელის, სლოგანის შესაქმნელად, დაიყავით სამ ჯგუფად, დაინაწილეთ დავალებები:

I – ჯგუფი შექმნის კლუბის ლოგოს;
II – ჯგუფი მოიფიქრებს კლუბის სახელს;
III – ჯგუფი დაწერს კლუბის სლოგანს;*

• წინასწარ განსაზღვრეთ სამუშაო დრო. ამ ეტაპის დასრულების შემდეგ გაცვალეთ გუნდებს შორის დავალებები მანამ, სანამ ყველა გუნდს არ მიეცემა მოცემულ დავალებებზე მუშაობის შესაძლებლობა.

• დასასრულს მოაწყვეთ ჯგუფური ნამუშევრების პრეზენტაციები.

• ჩაატარეთ ღია კენჭისყრა, მიეცით ხმა ლოგოს, სახელის, სლოგანის შემუშვებულ ვერსიებს და მიიღეთ საბოლოო გადაწყვეტილება. ხმის მიცემის პროცესის მართვაში ჩართეთ სამოქალაქო კლუბის მეურვე, რომელიც დაეხმარება მონაწილეებს კენჭისყრის ობიექტურად ჩატარებაში.

• შექმენით ლოგოს ელექტრონული ვერსია, რათა შეძლოთ მისი გამოყენება ბლანკზე, ანგარიშებზე, საინფორმაციო მასალებზე.

* **შენიშვნა** - *გაითვალისწინეთ, კლუბის სახელი, ლოგო და სლოგანი არ უნდა სცდებოდეს სამოქალაქო კლუბის მიზნებსა და მნიშვნელობას; სახელი და სლოგანი არ უნდა იყოს ძალიან გრძელი, უნდა იყოს მარტივად დასამახსოვრებელი. არ უნდა იმეორებდეს რომელიმე ცნობილ სახელწოდებას ან სლოგანს; ლოგოს შექმნისას, ნუ გამოიყენებთ სახელმწიფო სიმბოლიკას.*

არჩევნების ორგანიზება

• არჩევნების წინ სამოქალაქო კლუბის წევრებმა უნდა აირჩიონ **საარჩევნო კომისია**, რათა უზრუნველყონ არჩევნების ორგანიზებულად ჩატარება;

• კლუბის ლიდერობის მსურველებმა უნდა მოამზადონ **სამოტივაციო წერილი** და წარადგინონ საკუთარი კანდიდატურა, კლუბის წევრებს უნდა გააცნონ თავიანთი ხედვა.

• არჩევნების წინ თითოეულ კანდიდატს უნდა მიეცეს შესაძლებლობა, სამოქალაქო კლუბის წინაშე წარადგინოს საკუთარი კანდიდატურა. უნდა განისაზღვროს დრო მათი გამოსვლისთვის (3–5 წუთი);

საარჩევნო კომისია - *3–5 წევრი, რომელიც არ არის ლიდერობის კანდიდატი. ბუნებრივია, კომისიის წევრებს ხმის უფლება უნარჩუნდებათ.*

სამოტივაციო წერილი - *მოკლე დასაბუთება იმისა, თუ რატომ გსურთ, იყოთ კლუბის ლიდერი. რა თვისებებით გამოირჩევით და განსხვავდებით სხვებისგან? რა გამოცდილება და შესაძლებლობები გაქვთ იმისათვის, რომ იყოთ კლუბის ლიდერი, რატომ უნდა აგირჩიონ და რას გააკეთებთ კლუბის წევრებისათვის და კლუბისათვის? რა არის თქვენი მოტივაცია?*

• ლიდერის არჩევნები, შესაძლოა, ჩატარდეს ფარული ან ღია კენჭისყრით;

• თუ კლუბის წევრები უპირატესობას ფარულ კენჭისყრას მიანიჭებენ, საარჩევნო კომისიამ უნდა განსაზღვროს არჩევნების ჩატარების დრო;

• საარჩევნო კომისიამ ფარული კენჭისყრისთვის უნდა მოამზადოს ბიულეტენები (ბარათი 4ა) ბიულეტენის ნიმუში) და საარჩევნო ურნა, რომელიც, სასურველია, იყოს გამჭვირვალე;

• თუ, კლუბის წევრების გადაწყვეტილებით, საარჩევნო კომისია არჩევნებს ღია კენჭისყრით ატარებს, მაშინ საარჩევნო კომისიის წევრებს შორის უნდა შეირჩეს ხმის მთვლელები, რომლებიც დაითვლიან, ვინ რამდენი ხმა მიიღო;

როგორ უნდა შეიქმნას კლუბის წესდება?

დავალება 1

ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილი ასახეთ წესდებაში 2-3 წინადადებით.

გახსოვდეთ, მხოლოდ წესების არსებობა საკმარისი არაა! დაიცავით ჩამოთვლილი ეთიკური ნორმები და თქვენი მუშაობა სასიამოვნო იქნება თქვენთვისაც და გარშემო მყოფთათვისაც.

დავალება 2

შეაჯერეთ თქვენ მიერ დაწერილი წესდება კლუბის სხვა წევრების მიერ მომზადებულ წესდებებთან. მრავალრიცხოვანი კლუბის შემთხვევაში, წესდების პირველად ვარიანტზე შეიძლება ჯგუფურად იმუშაოთ.

უმჯობესია, ჯერ თქვენ თვითონ სცადოთ წესდების დაწერა და შემდეგ გაეცნოთ ნიმუშებს. ამის შემდეგ კი საბოლოოდ დახვეწოთ კლუბის წესდება.

წესდების ნიმუშები შეგიძლიათ იხილოთ სამოქალაქო განათლების დამხმარე სახელმძღვანელოში - „თანამშრომლობა საზოგადოებრივი სარგებლისათვის“ (მოცემულია ელექტრონულ ბიბლიოთეკაში სამოქალაქო განათლების პორტალზე civics.ge/index1.php?m=844&cat_id=20) და ინტერნეტ/მისამართზე:
libclubblog.wordpress.com/wesdeba

თქვენ მიერ შემუშავებული წესდება არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს საჯარო სკოლების წესდებას. matsne.gov.ge/index.php?option=com_ldmssearch&view=docView&id=61480&lang=ge

გახსოვდეთ, წესდების დაცვა კლუბის ყველა წევრისათვის სავალდებულოა!

USAID
ამერიკის სუფთა ენერგია

PH international
ADVANCING SOCIETIES. CONNECTING PEOPLE

დავალება 3

წარმოიდგინეთ, რომ სამოქალაქო კლუბი სარგებლობს თქვენ მიერ შედგენილი წესდებით. კლუბის საერთო კრებაზე გადასაწყვეტია სამი საკითხი:

- რამდენიმე გამოვლენილი პრობლემიდან პროექტისათვის ერთის შერჩევა;
- მე–7 კლასელი მოსწავლის თხოვნის განხილვა კლუბის წევრად მიღების თაობაზე;
- მიიღონ თუ არა კლუბის წევრებმა მონაწილეობა ძალადობის წინააღმდეგ დაგეგმილ ახალგაზრდულ აქციაში.

შესაძლებელია თუ არა ამ საკითხების გადაწყვეტა წესდებიდან გამომდინარე?

თუ შესაძლებელია, როგორ? რომელი მუხლის საფუძველზე?

5

კლუბის წესდება და ეთიკური ნორმები

კლუბის წესდების შედგენა და კლუბური მუშაობის ეთიკური ნორმების დადგენა

რა არის კლუბის წესდება?

კლუბის წესდება არის წესების ერთობლიობა, რომლის მიხედვით, კლუბი ახორციელებს საქმიანობას, ამყარებს და წარმართავს ურთიერთობებს სხვა ორგანიზაციებთან ან თემის წევრებთან. გარდა ამისა, წესდება არეგულირებს ურთიერთობას კლუბის წევრებს შორის. კლუბის წესდება მიღებული უნდა იქნეს კლუბის დამფუძნებლების მიერ.

რისთვის არის საჭირო წესდება?

წესდება განსაზღვრავს კლუბის მუშაობის პრინციპებს, წევრების უფლებებსა და მოვალეობებს.

როგორ უნდა შეიქმნას კლუბის წესდება?

თავდაპირველად საჭიროა ჩამოთვლილ საკითხებზე დაფიქრება და პასუხების ჩანიშვნა.

- სად და რა კლუბი უნდა დაარსდეს?
- რა ვადით ხდება კლუბის დაარსება?
- რა მიზნები აქვს ამ კლუბს?
- სად უნდა განხორციელდეს ეს მიზნები (სკოლაში, თემში...)?
- ვინ იქნება კლუბის წევრი?
- როგორ შეიძლება გახდეს მოსწავლე კლუბის წევრი?
- რა უფლებები ექნება კლუბის წევრს?
- რა მოვალეობები ექნება კლუბის წევრს?
- როგორ უნდა მოექცნენ კლუბის წევრები ერთმანეთს?
- როგორ უნდა მოექცნენ კლუბის წევრები სხვა მოსწავლეებს, მოსახლეობას, დაწესებულებათა წარმომადგენლებს, ვისთანაც მოუწევთ თანამშრომლობა?
- ვისგან შედგება კლუბის ხელმძღვანელობა?
- როგორ მოხდება ხელმძღვანელობის არჩევა?
- რა ფუნქციები ექნება ხელმძღვანელობას?
- როგორ მოხდება გადაწყვეტილებების მიღება?
- ექნება თუ არა რაიმე ქონება კლუბს? დადებითი პასუხის შემთხვევაში, რა იქნება წყარო?
- როგორ შეიძლება წესდებაში რომელიმე მუხლის შეცვლა?
- როდიდან უნდა შევიდეს ეს წესდება ძალაში?

ყოველი ჩაწერილი პასუხი უნდა ჩამოყალიბდეს წესად და დაიყოს თავებად და მუხლებად.

როგორ ხდება ეთიკური ნორმების დაცვა?

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს კლუბის წევრების ქცევას (როგორც წესდებაში, ისე მუშაობის დროს) კლუბის შიგნით და კლუბს გარეთ.

კლუბის წევრებმა:

- უნდა მოუსმინონ ერთმანეთს;
- არ უნდა აუწიონ ხმას;
- აზრი დაასაბუთონ არგუმენტებით;
- მიიღონ ერთმანეთის საინტერესო წინადადება;
- მოსახლეობას უნდა მოექცნენ თავაზიანად;
- ფრთხილად გამოიყენონ მოპოვებული ინფორმაცია (ფოტომასალა ან ინტერვიუ), რათა ზიანი არ მოუტანონ მათ, ვის დახმარებასაც ცდილობენ.

კლუბის წევრები:

- უნდა მოექცნენ ერთმანეთს თავაზიანად;
- უნდა მოექცნენ თავაზიანად ორგანიზაციების თანამშრომლებს, რომლებსაც შეხვდებიან პროექტის განხორციელებისას.

3.
ინფორმაციის შეგროვება და მისი ორგანიზება

გამოკითხვის ჩასატარებლად, პირველ რიგში, უნდა შედგეს კითხვარი (იხ. ბარათი 6ა). შევსებული კითხვარები შესწავლილ უნდა იქნეს. თუ ფლობთ კომპიუტერულ პროგრამას Excel, ის გაგიადვილებთ მონაცემების დაჯგუფებასა და დათვლას.

აუცილებელია კვლევის ეთიკური ნორმების გათვალისწინება:

- რესპონდენტთან მისალმება;
- რესპონდენტისათვის კვლევის მიზნის გაცნობა;
- რესპონდენტისაგან კითხვარის შევსების ნებართვის აღება;
- რესპონდენტისათვის განმარტება, რომ მიღებული პასუხები კონფიდენციალურია;
- რესპონდენტისათვის განმარტება, რომ მისი სახელი და გვარი, მისი თანხმობის გარეშე, არსად გაიჟღერებს;
- ნებართვის აღება რესპონდენტისაგან მისთვის ფოტოს გადასაღებად;
- ნებართვის აღება რესპონდენტისაგან მისი ფოტოს გამოსაყენებლად;
- დასასრულს - მადლობის გადახდა.

საჭიროებათა თვისებრივი კვლევისათვის შესაძლებელია პრესის ანალიზის გამოყენება. განსაკუთრებით მკაფიოდ ჩანს ადგილობრივი პრობლემები ადგილობრივ პრესაში. გარდა პრობლემის იდენტიფიცირებისა, შესაძლოა, ინფორმაციის მოპოვება იმის შესახებ, თუ ვინ რა გააკეთა (ან არ გააკეთა) ამ პრობლემის გადასაჭრელად. პრესის გაცნობა შესაძლებელია ბიბლიოთეკაში ან ინტერნეტით, საინფორმაციო სააგენტოების ვებგვერდებზე (მაგალითად: www.medianews.ge www.interpressnews.ge www.onlinenews.ge და ა.შ.).

4.
კვლევის შედეგების ახსნა

რაოდენობრივი კვლევის შედეგების დათვლის შემდეგ უნდა გაეცეს პასუხი შემდეგ კითხვებს:

რომელი პრობლემები დასახელდა ყველაზე ხშირად?

რომელი ასაკობრივი ჯგუფები ასახელებენ ამ პრობლემებს?

ქალები უფრო ხშირად ასახელებენ მოცემულ პრობლემებს თუ მამაკაცები?

რა საქმიანობით დაკავებულ ადამიანებს მიაჩნიათ ესა თუ ის პრობლემა მნიშვნელოვნად?

რატომ ხდება ასე?

რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევისას მიღებული შედეგები წარმოადგენს ანგარიშის საფუძველს.

5.
დასკვნების გაკეთება. რა უნდა აისახოს ანგარიშში?

ანგარიშში უნდა აისახოს:

- კვლევის მიზანი;
- კვლევის მეთოდები;
- საკვლევი ჯგუფები და კვლევაში მონაწილე რესპონდენტთა რაოდენობა;
- მიღებული შედეგები (რაოდენობრივი და თვისებრივი);
- დასკვნა.

ანგარიშში შეიძლება მოხვდეს ფოტოები, რომლებიც ადასტურებენ ამა თუ იმ პრობლემის არსებობას (მაგალითად, დანგრეული და მოუწყობელი სტადიონი, დაბინძურებული ობიექტი და ა.შ.).

კვლეგის ანგარიშში მოცემულ დასკვნებზე დაყრდნობით და კლუბის შესაძლებლობების გათვალისწინებით, შეირჩევა პრობლემა პროექტზე სამუშაოდ.

USAID ამერიკის ხალხისგან

PH international ADVANCING SOCIETIES. CONNECTING PEOPLE

6

განსახილველი საკითხის, პრობლემის იდენტიფიცირება და საჭიროებათა განსაზღვრა

საჭიროებათა განსაზღვრა

სასკოლო სამოქალაქო კლუბის საქმიანობისათვის არსებულ პრობლემებს შორის უნდა შეირჩეს ისეთი, რომელიც მნიშვნელოვანია საზოგადოებისათვის (ან მისი ნაწილისათვის) და, ამავე დროს, კლუბის წევრებს უნდა შეეძლოთ მისი გადაჭრა. საზოგადოებაში, თემში არსებული პრობლემებიდან კლუბისთვის მნიშვნელოვანი პრობლემის შესარჩევად უნდა ჩატარდეს კვლევა.

კვლევა არის საკითხის შესწავლის პროცესი, რომლის დროსაც დგინდება გარკვეული ფაქტები. მათ საფუძველზე მკვლევარი (ვინც ანარმოებს კვლევას) აკეთებს დასკვნას. კვლევის მიზანი სწორედ ამ დასკვნის გამოტანაა.

საწყის ეტაპზე აუცილებელია მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფის წარმომადგენლების ჩართვა პრობლემების შერჩევის პროცესში. პრობლემის შერჩევისას, მათი აზრის გათვალისწინება ამ კვლევის ნაწილი იქნება. გარდა ამისა, გამოყენებულ უნდა იქნეს ინფორმაციის სხვა წყაროებიც (მაგალითად, პრესა, ტელევიზია), სადაც შეიძლება იყოს საუბარი პრობლემებზე.

კვლევის ეტაპები, მეთოდები და ფორმები

ქვემოთ განხილულია პრობლემის იდენტიფიცირებისათვის საჭირო კვლევის ეტაპები:

1. კვლევის ჰიპოთეზის და მიზნის ჩამოყალიბება.

მოცემულ შემთხვევაში, ჰიპოთეზა იქნება საზოგადოებაში ისეთი პრობლემების არსებობა, რომელთა გადაჭრაც შეუძლია კლუბს, კვლევის მიზანი კი - ამ პრობლემის გამოვლენა.

2. კვლევის დაგეგმვა:

• უნდა შეირჩეს კვლევის მეთოდი. მეთოდები ორ ჯგუფად იყოფა – რაოდენობრივი და თვისებრივი. ორივე ემსახურება გარკვეული ფაქტების, ცოდნის ან შეხედულების გამოვლენასა და გაგებას. უნდა გადაწყდეს, თუ რომელი იქნება გამოყენებული (რაოდენობრივი, თვისებრივი, თუ ორივე). რაოდენობრივი კვლევის დროს საქმე რიცხვებთან და საკვლევი საგნის რაოდენობრივ გაზომვასთან გვაქვს (მაგალითად, გამოკითხულთა რამდენ პროცენტს მიაჩნია ესა თუ ის საკითხი პრობლემად). თვისებრივი კვლევის შემთხვევაში კი, უპირატესობა თვისებრივ მონაცემებს ენიჭება (მაგალითად, რის გამო ითვლება ესა თუ ის საკითხი პრობლემად). რაოდენობრივი კვლევისთვის გამოიყენება გამოკითხვა (ანკეტირება ან ინტერვიუ). თვისებრივი კვლევისთვის შესაძლებელია ლიტერატურის (მათ შორის, პერიოდული ლიტერატურის) ანალიზის გამოყენება. აქ განხილულია კვლევის ის ფორმები, რომლებიც უფრო ხშირად გამოიყენება სამოქალაქო კლუბის მუშაობაში.

• უნდა შეირჩეს საკვლევი ჯგუფი, განისაზღვროს რესპონდენტთა რაოდენობა. **რესპონდენტი** სწორად უნდა იქნეს შერჩეული. საზოგადოებრივი პრობლემის დასადგენად, შესაძლოა გამოკითხვა ჩატარდეს საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფის წარმომადგენლებთან (მაგალითად, მასწავლებლებთან, მოსწავლეებთან, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან, სტუდენტებთან, სოფლის მეურნეობით დაკავებულ პირებთან...).

• უნდა დადგინდეს გამოკითხვის ინსტრუმენტის (მაგალითად, კითხვარის), ინფორმაციის შეგროვების, დამუშავების და შედეგების წარმოდგენის ვადები. კვლევის ჯგუფის წევრები უნდა შეთანხმდნენ ვადებზე კვლევის თითოეული ეტაპისთვის.

• უნდა განისაზღვრონ შემსრულებლები: ვინ შეადგენს კითხვარს, ვინ ჩაატარებს გამოკითხვას, ვინ დამუშავებს მონაცემებს, ვინ დაწერს ანგარიშს. მცირერიცხოვანი კლუბის შემთხვევაში, კვლევაზე პასუხისმგებელთა რაოდენობა, შესაძლოა, საკმარისი არ აღმოჩნდეს და საჭირო გახდეს სხვა წევრების დახმარებაც.

რესპონდენტი - *პირი, რომელიც სოციოლოგიურ გამოკითხვაში (ანკეტირებაში ან ინტერვიუში) მონაწილეობს და ინფორმაციის წყაროს წარმოადგენს.*

მაგალითი: თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონის სასკოლო სამოქალაქო კლუბების წევრები, პედაგოგები და თბილისის მოზარდთა სახლის წარმომადგენლები გლდანის გამგეობის მუხიანის განყოფილების მთავარ სპეციალისტსა და უბნის სამსახურის უფროსს შეხვდნენ. მოსწავლეებმა გამგეობის თანამშრომლებს კლუბების საქმიანობა გააცნეს და, ასევე, გლდანის რაიონის სხვადასხვა პრობლემა განიხილეს, როგორიცაა სკვერებისა და ბაღების მოწესრიგება, ეკოლოგიურად სუფთა გარემოს დაცვა, პანდუსების გაკეთება საზოგადოებრივ ადგილებში და გლდანის რაიონში ქუჩების დასახელებისა და მიმართულების აღმნიშვნელი ბანერების დამონტაჟება.

გლდანის გამგეობის წევრებმა მზადყოფნა გამოთქვეს, ითანამშრომლონ მოსწავლეებთან და დახმარება გაუწიონ ინიციატივების განხორციელებაში, შუამდგომლობა გაუწიონ ორგანიზაციებთან, რომლებიც ჩაუტარებენ ტრენინგებს მათთვის საინტერესო თემებზე და, მოხალისეობრივ საწყისებზე, თავადაც მიიღონ მონაწილეობა სხვადასხვა აქციაში.
civics.ge/index.php?m=6&newsid=649

პოტენციური მხარდამჭერისგან ფინანსური სახსრების მოთხოვნის პროცესში კლუბის წევრებმა უნდა გაითვალისწინონ:

- იყვნენ ბუნებრივი, პირდაპირი, აქცენტი გააკეთონ განსახორციელებელ საქმიანობაზე, დაარწმუნონ პარტნიორი / მხარდამჭერი / გადაწყვეტილების მიმღები პირი საკუთარ შესაძლებლობებში და სანდოობაში;

- იმ შემთხვევაში, თუ არ გამართლდება კლუბის წევრების მოლოდინი და პოტენციურ მხარდამჭერთა ნაწილი უარს იტყვის თანამშრომლობაზე, კლუბის წევრებმა უნდა განსაზღვრონ, რა შეიძლება გაკეთდეს პრობლემის გადასაჭრელად მათ ხელთ არსებული რესურსებით.

მაგალითი სასკოლო სამოქალაქო კლუბის გამოცდილებიდან:

თბილისის სამოქალაქო კლუბის წევრებმა ჩაატარეს აქცია „ვაჩუქოთ წიგნები მეგობრებს!“ მოსწავლეები გამოეხმაურნენ სოციალური ქსელით გავრცელებულ, ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფელ ალასტანის სომხურენოვანი სკოლის (სკოლაში 110 ბავშვი სწავლობს) ქართული ენის მასწავლებლის თხოვნა-მოწოდებას, დახმარებოდნენ ამ სკოლის ბიბლიოთეკას ქართულენოვანი წიგნებით.

მოსწავლეებმა, კლუბების ფეისბუქის გვერდების საშუალებით, გამოაცხადეს აქცია და ათი დღის მანძილზე, თბილისის მასშტაბით, შეაგროვეს 1000-მდე ქართული წიგნი, რომელიც გადასცეს სოფ. ალასტანის სკოლის წარმომადგენლებსა და უფროსკლასელ მოსწავლეებს.
civics.ge/index.php?m=852&tsid=19



7

პრობლემის გადაჭრის გზების ძიება – პარტნიორების/ მხარდამჭერების მოძიება, თანამშრომლობა გადაწყვეტილების მიმღებ პირებთან

ბარამში მოცემულია რეკომენდაციები, პრობლემის გადაჭრის მიზნით, კოტენციური მხარდამჭერების, დაინტერესებული პირებისა და გადაჭრის გზების მოძიების შესახებ

პრობლემის გადაჭრის გზების ძიება - პარტნიორების/მხარდამჭერების მოძიება, თანამშრომლობა გადაწყვეტილების მიმღებ პირებთან

• მას შემდეგ, რაც კვლევის საფუძველზე დადგინდება პრობლემები სკოლასა თუ თემში (ბარათი 6), უნდა შეირჩეს 1 **პრიორიტეტული** პრობლემა, რომლის გადაჭრაზე მუშაობასაც აპირებს სამოქალაქო კლუბი (პრიორიტეტები შეიძლება შეირჩეს სხვადასხვა გზით - **ხმის მიცემა, რეიტინგი, ბრილიანტი, მეფინგი**.

• უნდა განისაზღვროს პოტენციურ მხარდამჭერთა სია - ვინ არიან ეს პირები, ჯგუფები, დაწესებულებები, ინსტიტუციები. ვის ევალება ამ პრობლემის გადაჭრა? ვის შეუძლია რაიმე სახის დახმარების განევა?

პრიორიტეტული - *მნიშვნელოვანი, უპირატესი, უპირველესი.*

ხმის მიცემა - *პრობლემების შერჩევაზე მომუშავე თითოეული მონაწილე ირჩევს 1 პრობლემას, რომელიც, მისი აზრით, ყველაზე მნიშვნელოვანია. პრობლემა, რომელიც დააგროვებს ყველაზე მეტ ხმას, ჯგუფის მიერ არჩეული პრიორიტეტია.*

რეიტინგი - *ხმის მიცემის შედეგები დაალაგეთ ხმათა უმრავლესობის მიხედვით, შესაბამისად, პირველი ადგილზე იქნება პრობლემა, რომელმაც მეტი ხმა მიიღო.*

„ბრილიანტის“ *მეთოდის მიზანია, გამოკვეთილ პრობლემათა შორის შეარჩიოთ პრიორიტეტული.*

ბრილიანტის ფორმის სქემით, ქვემოდან ზემოთ, პრიორიტეტების მიხედვით, დაალაგეთ 9 მოსაზრება (პრობლემა), შესაბამისად, ყველაზე პრიორიტეტული პრობლემა მოთავსდება ბრილიანტის წვერში.

მეფინგი - *წებოვან ქაღალდზე დაწერეთ პრობლემები და განალაგეთ საკოორდინატო სიბრტყეზე. 0–10 ჰორიზონტალურად – რამდენად მნიშვნელოვანი პრობლემაა; 0–10 (ვერტიკალურად) რამდენად შესაძლებელია მისი გადაჭრა ადგილობრივ დონეზე. რაც უფრო მაღალ ქულას იღებს პრობლემა ორივე ღერძზე, ვერტიკალურად და ჰორიზონტალურად, მით უფრო მნიშვნელოვანი და გადაჭრადია.*

შესაბამისად, პრობლემის შერჩევა მოხდება სიბრტყეზე იმ მეოთხედში, რომლის კოორდინატებია 5–დან 10–მდე, ორივე ღერძზე.

მეფინგის გრაფიკული გამოსახულება იხილეთ მე-5 გვერდზე.

თანამშრომლობისთვის პარტნიორი/პარტნიორები უნდა შეირჩეს:

• ინტერესების მიხედვით (ხომ არ გააჩნია რაიმე პრეტენზია ან მოთხოვნა მოცემულ პრობლემასთან დაკავშირებით);

• უნარის მიხედვით (აქვს შესაძლებლობა, ცოდნა, გამოცდილება, უნარი, ჩაერთოს პრობლემის გადაჭრაში, არის კომპეტენტური პირი, ექსპერტი ამ პრობლემასთან დაკავშირებით);

• უფლებამოსილების მიხედვით (უშუალოდ ეხება თემის პრობლემები, აქვს უფლება, მიიღოს მონაწილეობა ფინანსურ თუ სხვა გადაწყვეტილებებში);

• პიროვნული თვისებების მიხედვით (ლიდერობა, კომპეტენტურობა, სანდოობა, კომუნიკაბელურობა).

პარტნიორების შერჩევისათვის წინასწარ უნდა განისაზღვრს:

• პრობლემა (პრობლემები ოჯახში, სკოლაში, სოფელში, დაბაში, ქალაქში, საკუთარ ქვეყანაში, უცხო ქვეყანაში, გლობალური პრობლემები), რომელსაც სამოქალაქო კლუბის წევრები გადაჭრიან.

დაინტერესებული მხარე შეიძლება იყოს ნებისმიერი ორგანიზაცია, ჯგუფი ან ინდივიდი:

• რომელსაც გააჩნია რაიმე მოთხოვნა მოცემულ პრობლემასთან დაკავშირებით;

• გააჩნია სამსახურებრივი უფლებამოსილება მოცემული პრობლემის გადასაჭრელად, ან მოცემული პრობლემის გადაჭრა შედის მის სამსახურებრივ მოვალეობებში;

• რომელიც არის მომსახურების მიმღები ან მიმწოდებელი;

• რომელსაც უშუალოდ ეხება თემში მიმდინარე მოვლენები.

დავალება 1

გამოიყენეთ აზრობრივი რუკა (ცენტრში დაწერეთ პრობლემა და ირგვლივ დაუწერეთ ყველა შესაძლო მხარდამჭერი)

დავალება 2

განსაზღვრეთ, ვინ რა ტიპის პარტნიორობა და მხარდაჭერა შეიძლება გაგიწიოთ პრობლემის მოგვარებაში.

მხარეები	მხარდაჭერა
ადგილობრივი თვითმმართველობა	გამოყოფს, გადაწყვეტს...
ბიზნეს სექტორი	დააფინანსებს...
ექსპერტი	გასცემს რეკომენდაციებს...
თემი	მიიღებს მონაწილეობას, ჩაერთვება...

პარტნიორებისა და მხარდამჭერების განსაზღვრის შემდეგ, კლუბის წევრები უნდა გადავიდნენ უშუალო ქმედებებზე:

• პოტენციურ პარტნიორს/გადაწყვეტილების მიმღებ პირებს კლუბის წევრებმა უნდა მიმართონ წერილობით და/ან პირადად შეხვდნენ. ორივე შემთხვევაში, უნდა იყვნენ კონკრეტულები და ლაკონურები. ზუსტად უნდა აღწერონ პრობლემა და რა მხარდაჭერის მოლოდინი/მოთხოვნა (მაგ: თანხა, რესურსები, ტექნიკური საშუალებები და ა.შ.) აქვთ კონკრეტულ შემთხვევაში. მიმართვა უნდა მომზადდეს და შეხვედრები განხორციელდეს კლუბის მეურვის ჩართულობით;

• კლუბის წევრებმა უნდა დაგეგმონ შეხვედრა და მოემზადონ მისთვის;

• ყურადღებით უნდა შეარჩიონ ფინანსური სახსრების მოთხოვნის ფორმა და ტაქტიკა;

• სამომავლო გეგმები უნდა დასახონ მხარდამჭერთან ერთად;

როგორ შეიტყვეთ კონკურსის შესახებ:

პროექტის მოკლე აღწერა: პროექტის მიზანი და მოსალოდნელი შედეგები (კონკრეტულად აღწერეთ, რა იქნება პროექტის შედეგი და აღნიშნული მიზნის მისაღწევად ვინ, რას, სად და როდის შეასრულებს):

საჭიროებების/პრობლემის აღწერა (დეტალურად აღწერეთ ის პრობლემა, რომელსაც

პასუხობს თქვენი პროექტის მიზანი:

რა ღონისძიებები გატარდება აღნიშნული პროექტის მიზნის მისაღწევად:

ვინ არიან პროექტის ბენეფიციარები:(კონკრეტულად მიუთითეთ, თუ ვინ მიიღებს პროექტით

სარგებელს და მათი საერთო რაოდენობა):

ჩამოთვალეთ აღნიშნული ბენეფიციარების რაოდენობები ცალ-ცალკე (მაგ.: პედაგოგები - 20;

მოსწავლეები -100; მშობლები - 70), ეროვნული უმცირესობები - 100:

ჩამოთვალეთ ის შესაძლო რისკები, რომელმაც შეიძლება ხელი შეუშალოს პროექტის

წარმატებით განხორციელებას:

აღწერეთ პროექტის მდგრადობა მისი დაფინანსების დასრულების შემდეგ: (აღწერეთ, თუ როგორ აპირებთ, განაგრძოთ პროექტით წამოწყებული საქმიანობა პროექტის დასრულების შემდგომ).

საგრანტო კონკურსისათვის მოთხოვნილი დოკუმენტები:

- პროექტის განხორციელების გეგმა
- პროექტის ბიუჯეტი
- თანამონაწილეობის ცნობები
- სკოლის ადმინისტრაციის წერილი

ბმულზე მოცემულია ინფორმაცია პროგრამის „მოგავლის თაობა“ მცირე გრანტების კონკურსის შესახებ და საგრანტო კონკურსისათვის მოთხოვნილი დოკუმენტები: www.initiatives.ge/index.php?m=7

ბმულზე მოცემულია პროექტის წერისა და მართვის სახელმძღვანელო: civics.ge/uploads/uidline%20for%20Project%20Proposal%20Writing.pdf

USAID
ამერიკის ხალხის საერთაშორისო

PH international
ADVANCING SOCIETIES. CONNECTING PEOPLE

8

განაცხადის მომზადება დაფინანსებისათვის/ პროექტის განსახორციელებლად საჭირო რესურსების მოძიება (განსაზღვრა)

ბარათში მოცემულია რეკომენდაციები საპროექტო განაცხადის მომზადებისა და პროექტის განსახორციელებლად საჭირო რესურსების განსაზღვრისათვის

განაცხადის მომზადება

კლუბის წევრებმა კვლევის, პრობლემის შერჩევისა და სავარაუდო პარტნიორების განსაზღვრის შემდეგ, **საპროექტო განაცხადის** მომზადებაზე უნდა იზრუნონ:

- გასათვალისწინებელია, რომ დონორებს შეიძლება განსხვავებული მოთხოვნები ჰქონდეთ, ამიტომ საპროექტო წინადადების მომზადებისას ეს მოთხოვნები ზედმიწევნით უნდა შესრულდეს (იხ. საპროექტო განაცხადის ფორმა);
- უნდა შეიქმნას გუნდი, რომელიც იმუშავებს საპროექტო განაცხადის მომზადებაზე;
- წერის დაწყებამდე, კლუბის წევრებმა უნდა იმსჯელონ, რისი გაკეთება სურთ და როგორ;
- კლუბის წევრები უნდა იყვნენ კონკრეტულები, თანმიმდევრულები და ლოგიკურები;
- განხორციელების გზები უნდა გამდიდრდეს ორიგინალური და ინოვაციური იდეებით;
- დასაფიქრებელია, ხომ არ გაზრდის პროექტის დაფინანსების* შანსს პარტნიორთა ჩართულობა?

საპროექტო განაცხადი - *დამფინანსებელი ორგანიზაციისთვის შედგენილი წერილობითი თხოვნა მატერიალური დახმარების (ფული, ტექნიკა და სხვა რესურსები) მოსაპოვებლად.*

*** შენიშვნა** - *ყველა პროექტს არ სჭირდება დაფინანსება, მცირემასშტაბიანი პროექტები, უმეტესად, არ საჭიროებენ ფინანსურ რესურსებს. ასეთ შემთხვევაში, მხოლოდ განხორციელებისათვის საჭირო რესურსების განსაზღვრა და მობილიზება იქნება საჭირო.*

მნიშვნელოვანია, პროექტის განხორციელებაში შეიტანოთ თქვენი წვლილი (თანამონაწილეობა), რისთვისაც აუცილებელია, კარგად გაანალიზდეს ირგვლივ არსებული და ხელმისაწვდომი რესურსები (ტექნიკა, ფართი, ინვენტარი, შრომის იარაღები, ტრენერი, სპეციალისტი და ა.შ.). ასეთ შემთხვევაში, შესაძლებელია, დამატებითი დაფინანსების მოპოვება არც გახდეს საჭირო.

- უნდა დადგინდეს პროექტის განხორციელების რეალური ვადები;
- უნდა დაითვალოს სავარაუდო ბიუჯეტი. გასაგებია, რა რესურსებია საჭირო პროექტის განხორციელებისათვის;
- განაცხადის შევსების დროს, აუცილებელია მართლწერის წესებისა და ნორმების (შუალედები აბზაცებს შორის, სასვენი ნიშნები, შრიფტი, ფონტი და ა.შ.) დაცვა. ნაწერი სადა და საქმიანი უნდა იყოს, უნდა იკითხებოდეს.

თუ დონორს განსაკუთრებული მოთხოვნები არ აქვს, განაცხადი უნდა მოიცავდეს შემდეგს:

- თავფურცელი (პროექტის სახელწოდება, წარმდგენი, კოორდინატორი, საკონტაქტო ინფორმაცია, ვადები, ბიუჯეტი);
- მთავარი არსის მოკლე შეჯამება (რას? რატომ? როდის? როგორ? – არაუმეტეს, 1 გვერდისა);
- პრობლემის აღწერა (არსებული მდგომარეობა, სტატისტიკა, ფაქტები, მაგალითები, ექსპერტთა მოსაზრებები);
- მიზნები (რისი მიღწევა სურთ კლუბის წევრებს);
- ამოცანები (ხელშესახები, გაზომვადი შედეგები, რომლებიც მიიღწევა პროექტის მეშვეობით);
- პროექტით გათვალისწინებული საქმიანობის დეტალური აღწერა (შესრულების ვადები და პასუხისმგებელი პირები);
- პროექტის გუნდი (ვინ უხელმძღვანელებს პროექტს; ვინ შეასრულებს პროექტით გათვალისწინებულ საქმიანობას);
- ბიუჯეტი (უნდა იყოს რეალისტური, მიზანშეწონილია კომპეტენტური პირის დახმარება);
- განხორციელების გეგმა (დროში გაწერილი პროექტით გათვალისწინებული საქმიანობები);
- მოსალოდნელი შედეგები (რა არის მოსალოდნელი პროექტის განხორციელების შემდეგ?).

ბმულზე მოცემულია ვიდეორეკომენდაცია „როგორ დავწეროთ კარგი საპროექტო განაცხადი“
www.youtube.com/watch?v=NBVAROz4sQY

საპროექტო განაცხადის ფორმა

პროექტის თემა:

პროექტის სახელწოდება:

განმცხადებლის სახელი და გვარი:

პროექტის ხელმძღვანელის სახელი და გვარი, თანამდებობა:

სკოლის სახელწოდება:

განმცხადებლის დაბადების თარიღი:

განმცხადებლის მისამართი (ფაქტიური):

საფოსტო ინდექსი:

ქალაქი:

მისამართი:

სახლის ტელეფონი:

მობილური ტელეფონი:

ელექტრონული ფოსტა:

პროექტის ხანგრძლივობა (1-4 თვე):

ჩამოთვალეთ პროექტში ჩართული ყველა პიროვნება, მათი პოზიცია, მაგ., მე-9 კლასის მოსწავლე, პედაგოგი, მშობელი და მათი კონკრეტული მოვალეობები:

მოთხოვნილი თანხა (ვალუტის მითითებით):

თანამონაწილეობის თანხა (ვალუტის მითითებით):

2014 წელი –კამპანია „ეს შენ გეხება – ისევ გვისმენენ“, უკანონო მოსმენების წინააღმდეგ:
www.youtube.com/watch?v=jtuPhf0ylwY

- სახსრების მოძიება - კამპანიის განხორციელებისათვის რესურსების განსაზღვრა და მოზიდვა (თანხა, აღჭურვილობა, მოხალისეები, ფართი და სხვ.).
- განხორციელება - დაგეგმილი ქმედებების განხორციელება მიზნების მისაღწევად (მოქმედებათა გეგმა-ღონისძიებების განრიგი, თითოეული აქტივობის განერა თვეებისა და დღეების მიხედვით).
- მონაცემთა შეგროვება - შესაბამისი რაოდენობრივი და ხარისხობრივი ინფორმაციის შეგროვება, ანალიზი და გამოყენება, კამპანიის თითოეული ნაბიჯის მხარდასაჭერად.
- მონიტორინგი - პროცესზე დაკვირვება, ზედამხედველობა, არსებულ და მოსალოდნელ შედეგს შორის შესაბამისობის დადგენის მიზნით.
- შეფასება - ამოცანების შესრულების დამადასტურებელი ინფორმაციის შეგროვებისა და ანალიზის პროცესი.

საინფორმაციო ადვოკატირების ნიმუშები:

კამპანია ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ:
www.youtube.com/watch?v=t4WiaNvXAuo
კამპანია „ჩააქრე ძრავი - გზა დაუთმე ეკოლოგიურად სუფთა ტრანსპორტს“ - moe.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=40&info_id=1593

კამპანია ნარჩენების გადამუშავების მოთხოვნის შესახებ - „რძის სიყვარულის ისტორია“ - „თუ გინდა ბედნიერი დასასრული, უთხარი მთავრობას, რომ გსურს ნაკლები ნაგავი და მეტი გადამუშავება“ www.youtube.com/watch?v=MRt4lEXkDJs

კამპანია ზოოპარკის ცხოველთა გადასარჩენად – პრაღაში იტბორებოდა ზოოპარკი, რაც საფრთხეს უქმნიდა მისი ბინადრების სიცოცხლეს. კამპანიის ინიციატორებს ურჩიეს, არ გადაეღოთ ცხოველებისთვის ტრაგიკული ფოტოები და ეს პრობლემა სხვა ფორმით მიეწოდებინათ ხალხისთვის. ორკვირიანი კამპანიის შედეგად სოლიდური თანხა (4 მილიონი) შეგროვდა პრობლემის გადასაჭრელად.
www.youtube.com/watch?v=EJVCRj23w1

არ შევწყვიტოთ ფიქრი სასწაულებზე

სოფელ აფენის 1-ლი საჯარო სკოლის სამოქალაქო კლუბის წევრებმა, თემის პრობლემების ადვოკატირების მიზნით, ჩაატარეს კვლევა, რომლის შედეგადაც გამოვლინდა, რომ სოფლისთვის აქტუალურია სასმელი წყლის, სოფლის გზებისა და გარე განათების პრობლემები. კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, მოსწავლეებმა მოამზადეს ვიდეოსიუჟეტები, აღნიშნული საკითხების შესახებ აცნობეს ადგილობრივ თვითმმართველობას და, ადგილობრივი ტელევიზია „LTV“-ს დახმარებით, მოაწყვეს თოქ-შოუ. გადაცემაში მონაწილეობა მიიღეს მოსწავლეებმა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს წარმომადგენლებმა, ნაჩვენები იყო მოსწავლეების მიერ ჟურნალისტებთან ერთად მომზადებული სიუჟეტები მოსახლეობის გამოკითხვის შესახებ. მოსწავლეებმა სოფლის მოსახლეობას მიაწოდეს სრული ინფორმაცია იმ სახელმწიფო პროგრამების შესახებ, რომლებიც მათთვის არის გამიზნული. ინიციატივამ წარმატებული შედეგი გამოიღო. გადაიჭრა გარე განათების პრობლემა, დაიგო ცენტრალური სავალი გზა და შეკეთდა სასმელი წყლის სისტემა.



9

ადვოკატირება

ბარიერში მოცემულია ადვოკატირების განსაზღვრება და რეკომენდაციები ადვოკატირების კამპანიის დაგეგმვისა და მისი განხორციელებისათვის

რისთვის არის საჭირო ანგარიში?

• კლუბი ვალდებულია, გააცნოს საზოგადოებას და, განსაკუთრებით, პარტნიორებსა და დამფინანსებლებს, თუ როგორ მიმდინარეობს მუშაობა და რა შედეგი იქნა მიღწეული;

• ანგარიში არის „მეხსიერება“ და კლუბის ისტორიის ნაწილი, ასევე, ქმნის კარგ საფუძველს კლუბის ახალი წამოწყებებისა და ინიციატივებისათვის.

რა უნდა აისახოს ანგარიშში?

• ანგარიშის მიზანი;

• პროექტის მიზანი;

• პროექტის მიმდინარეობის ძირითადი ეტაპები, როგორც ტექსტით, ისე ფოტოებით;

• განმახორციელებლები, პარტნიორები;

• ხარჯები (ეს პუნქტი აუცილებელია პარტნიორებისთვის წარსადგენ და შიდა მოხმარების ანგარიშში, მაგრამ არა ფართო აუდიტორიისათვის გამიზნულ ანგარიშებში);

• მიღებული შედეგები;

• პროექტის განხორციელებისას წამოჭრილი პრობლემები და როგორ გადაიჭრა ისინი;

• პროექტის განხორციელების შედეგად მიღებული გამოცდილება;

• სამომავლო რეკომენდაციები.

შემაჯამებელი შეხვედრა

პროექტის დასრულების, პრეზენტაციისა და ანგარიშის დაწერის შემდეგ აუცილებელია კლუბის წევრების დასკვნითი შეხვედრა და პროექტის განხორციელების სუსტი და ძლიერი მხარეების გულახდილი განხილვა - რისი გაკეთება შეიძლებოდა უკეთესად და როგორ. ეს დაეხმარება მათ შემდგომი პროექტების უკეთ განხორციელებაში. ამ დასკვნების საფუძველზე შეიძლება დაიწეროს რეკომენდაციები კლუბისთვის.

საზოგადოებასთან ურთიერთობა

დავალება

გაეცანით კლუბის მიერ განხორციელებულ პროექტს. საზოგადოებასთან ურთიერთობის რომელ ფორმებს ურჩევდით კლუბის წევრებს, პროექტზე მუშაობის შედეგების გასაცნობად? განიხილეთ ყველა შესაძლო დაინტერესებულ პირთა ჯგუფის (მოსწავლეები, მასწავლებლები, მშობლები, პარტნიორები, თემის წევრები...) შემთხვევა. ვისთვის რომელ ფორმას შეარჩევთ?

პროექტის პრეზენტაცია - „სკოლის ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის შევსება“

2014 წლის 5 ივნისს, დუშეთის მე-2 საჯარო სკოლის სასკოლო სამოქალაქო კლუბმა „ათინათი“ მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „კრისტალის“ მიერ დაფინანსებული პროექტის შემაჯამებელი ღონისძიება გამართა - „დუშეთის მე-2 საჯარო სკოლის ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის შევსება“.

ღონისძიებას ესწრებოდნენ კლუბის წევრები, სკოლის მოსწავლეები, პედაგოგები, დირექცია, მშობლები, დუშეთის საკრებულოს თავმჯდომარე, სამოქალაქო განათლებისა და პედაგოგთა გადამზადების პროგრამის, მედიისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „კრისტალის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, გენერალური დირექტორი და დუშეთის ფილიალის ხელმძღვანელი.

პროექტი მოსწავლეებში წიგნიერების დონის ამაღლებას ისახავს მიზნად. კლუბმა თემში არსებული პრობლემებიდან პრიორიტეტულად სკოლის ბიბლიოთეკის მოძველებული ფონდი მიიჩნია. პროექტის განხორციელებაში ჩართულმა მოსწავლეებმა ჩაატარეს კვლევა და შეადგინეს მოთხოვნადი შემეცნებითი და მხატვრული ლიტერატურის ნუსხა; დაგეგმეს აქტივობები, რომლებიც წიგნს, ლიტერატურას, ცოდნისა და თვალსაწიერის გაფართოებას უკავშირდებოდა. www.civics.ge

10

საზოგადოებასთან ურთიერთობა

ბარათში მოცემულია მასალა საზოგადოებასთან ურთიერთობის აუცილებლობისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის ფორმების შესახებ

საზოგადოებასთან ურთიერთობის აუცილებლობა

სასკოლო სამოქალაქო კლუბი, უმთავრესად, საზოგადოებისთვის საჭირბოროტო პრობლემების გადაწყვეტაზე მუშაობს. ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ საზოგადოებას ჰქონდეს სწორი წარმოდგენა კლუბის მუშაობის შესახებ. მეორე მხრივ, კლუბსაც უნდა ჰქონდეს ინფორმაცია საზოგადოებისთვის საინტერესო პრობლემების შესახებ.

ამრიგად, საზოგადოებასთან ურთიერთობა აუცილებელია:

- კლუბის მუშაობის შედეგების გასაცნობად საზოგადოებისათვის;
- კლუბის მუშაობისათვის აუცილებელი ინფორმაციის მოპოვებისათვის.

კლუბის გარშემო არსებული საზოგადოება, პირობითად, შეიძლება სქემის სახით წარმოვადგინოთ.

საზოგადოებისათვის მისაწოდებელი ინფორმაციაა:

- რაზე აპირებს მუშაობას კლუბი

ან

- რა სამუშაო ჩაატარა კლუბმა.

ყოველთვის არ არის აუცილებელი, საზოგადოებისათვის სამომავლო გეგმების წინასწარ გაცნობა, მაგრამ საჭიროა ინფორმაციის მიწოდება პოტენციური პარტნიორებისათვის.

საზოგადოებასთან ურთიერთობის ფორმები

- **პროექტის ფოტორეპორტაჟი**, რომელიც სამუშაო პროცესსა და შედეგებს ქრონოლოგიურად ასახავს ფოტოსურათებით. ფოტოების განთავსება (მაგ., დაწებება) შესაძლებელია დიდ ქაღალდზე ან მუყაოზე, ერთმანეთის მიყოლებით, ფოტოფირის მსგავსად. ფოტოებს უნდა გაუკეთდეს მოკლე წარწერები და გამოიფინოს სკოლაში თვალსაჩინო ადგილზე. ეს ინფორმაცია ხელმისაწვდომი იქნება მოსწავლეებისა და მასწავლებლებისათვის;
- **პრეზენტაცია** არის რაიმე საკითხის საჯარო წარდგენა აუდიტორიის წინაშე. ეს საზოგადოებასთან ურთიერთობის მეტად გავრცელებული ფორმაა. მისი გამოყენება შესაძლებელია პოტენციური პარტნიორებისათვის პროექტის მნიშვნელობისა და საჭიროებების დასაბუთებისთვის, ჩატარებული სამუშაოს შესახებ სკოლის, მშობლების, თემის დაინტერესებული წარმომადგენლების, პარტნიორებისა და მხარდამჭერების ინფორმირებისათვის. შეიძლება ჩატარდეს ერთი საერთო პრეზენტაცია ამ ჯგუფების წარმომადგენლებისთვის ან, საკითხის თავისებურებიდან გამომდინარე, ცალ-ცალკე, სხვადასხვა ჯგუფისათვის. რჩევები ეფექტური პრეზენტაციისათვის მოცემულია ბარათში 10ა.
- **ფლაერი** პატარა საინფორმაციო ფურცელია. ეს არის ინფორმაციის გავრცელების ერთ-ერთი ყველაზე სწრაფი და მოსახერხებელი საშუალება. ის მოიცავს ლაკონურ ტექსტსა და ფოტოებს.
- **პრესრელიზი** არის წერილობითი ინფორმაცია პრესისათვის, დაინტერესებული ორგანიზაციებისთვის ან პირებისთვის რაიმე მოვლენის ან ღონისძიების შესახებ. მისი მთავარი მიზანია პრესისთვის ინფორმაციის მიწოდება და ჩართვა ინფორმაციის გასავრცელებლად. პრესრელიზის მიღების შემდეგ შესაძლებელია, მედიის დაინტერესებული წარმომადგენლები დაესწრონ ღონისძიებას და გააშუქონ იგი ბეჭდვით პრესაში, ტელე-რადიო გადაცემაში. ხშირად პრესრელიზში მოცემული ინფორმაცია უცვლელად იბეჭდება. ცხადია, რომ ასეთი სახით გავრცელებული ინფორმაცია, შესაძლოა, ხელმისაწვდომი გახდეს მუნიციპალიტეტის, ქალაქის ან მთელი ქვეყნის მოსახლეობისათვის. რჩევები პრესრელიზის დასაწერად მოცემულია ბარათში 10ბ.
- **სოციალური მედია** საზოგადოებასთან ურთიერთობის მძლავრი იარაღია. მისი საშუალებით, შესაძლებელია სათემო აქტივობების დაგეგმვა, კლუბის შესახებ ინფორმაციის ფართოდ გავრცელება, სხვა კლუბების საქმიანობის, სხვადასხვა კონკურსის, ტრენინგისა და სხვა შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციის დროული მოპოვება. გარდა ამისა, სოციალური მედიის ჯგუფი წერს ანგარიშს. ანგარიში უფრო დეტალურია, ვიდრე პრეზენტაცია.

რა არის ადვოკატირება?

ადვოკატირება არის **საზოგადოებრივი ინტერესების დაცვის** მეთოდი, რომელიც გამოიყენება საზოგადოებისათვის სასარგებლო ცვლილებების **ინიცირებისათვის** და მიმართულია გარკვეული სოციალური ჯგუფის ინტერესთა ან უფლებების დაცვისაკენ – ინიციატივების, აქციებისა და ქმედითი კამპანიების დაგეგმვისა და განხორციელების გზით.

რა არის ადვოკატირების კამპანიის მთავარი მიზანი?

ადვოკატირების კამპანიის მთავარი მიზანია ცვლილებების განხორციელება და სტიმულირება, მეტი ადამიანის ჩართვა იდეის მხარდასაჭერად, განსაკუთრებით მათი, ვისაც ეს პრობლემა უშუალოდ ეხება და არ იციან, მის გადასაჭრელად რა მოიმოქმედონ.

საზოგადოებრივი ინტერესების დაცვა - *ნიშნავს საზოგადოების მიერ საჭირბოროტო საკითხებზე ხმის ამაღლებას, მნიშვნელოვანი პრობლემებისათვის თვალყურის დევნებას და გადაწყვეტილებების მიმღებთაგან მოთხოვნას, რომ ეს საკითხი გადაიჭრას.*

ადვოკატირების კამპანიის პოპულარიზაციის მეთოდები:

- ფართო ჯგუფის მიერ განხორციელებული მოქმედება (**პეტიციები**, დემონსტრაციები და ა.შ.);

მაგალითი: კამპანია პარიზში ძალადობის მსხვერპლ ქალთა თავშესაფრის გაუქმების წინააღმდეგ - ელექტრონული ფორმით მომზადებულ პეტიციაზე ხელმოწერა:
www.youtube.com/watch?v=8P0EBdKpY_c

- მედიასაშუალებებისა და სოციალური ქსელების გამოყენება (საუკეთესო საშუალებაა იმისათვის, რომ უფრო მეტი ადამიანის ინფორმირება და ჩართვა მოხდეს ადვოკატირების პროცესში);

მაგალითი: 2012 წელი, კამპანია - „ეს შენ გეხება“ მედიაშეზღუდვების წინააღმდეგ:
www.youtube.com/watch?v=KGuwLF9fG_c
www.youtube.com/watch?v=Ti3s-1pQ6Pg&NR=1

ინიციირება - *ახალი საქმიანობის წამოწყება.*

პეტიცია - *წერილობითი კოლექტიური თხოვნა ხელისუფლების უმაღლესი ორგანოებისადმი, მთავრობის მეთაურისადმი; კოლექტიური შუამდგომლობა.*

- საჯარო კამპანია – წარწერიანი მაისურების, პოსტერების, ფლაერების დაბეჭდვა და დარიგება;

მაგალითი: ქუთაისის მე-12 საჯარო სკოლის სამოქალაქო კლუბის ინიციატივით, გაიმართა მარათონი **პარაოლიმპიელთა** მხარდასაჭერად. მსვლელობა მოეწყო მე-12 საჯარო სკოლიდან ქალაქის ცენტრალურ მოედნამდე. მასში მონაწილეობდნენ საჯარო სკოლის მოსწავლეები, მასწავლებლები, მშობლები, სულ 300-მდე პირი. მარათონის მიზანი იყო ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მოსწავლეთა საზოგადოებაში ინტეგრაციის მხარდაჭერა – kedec.ge/news/806--.html

ადვოკატირების პროცესის წარმართვისას, მნიშვნელოვანია სხვადასხვა მეთოდის გამოყენება, ვინაიდან ცალ-ცალკე შეიძლება არც ერთი არ გამოდგეს ეფექტური. უკეთესი იქნება, თუ კამპანიის პროცესში ყველა ეს მეთოდი, შეძლებისდაგვარად,

პარაოლიმპიური თამაშები - *ოლიმპიური თამაშების მსგავსი საერთაშორისო სპორტული შეჯიბრება თანდაყოლილი ან შეძენილი ფიზიკური ნაკლის მქონე ადამიანებისთვის.*

ერთდროულად იქნება გამოყენებული.

ადვოკატირების კამპანიის დაწყებამდე, აუცილებელია ღონისძიებების წინასწარი დაგეგმვა, რადგან რესურსები (დრო, ადამიანები, ფინანსები) ყოველთვის შეზღუდულია, გარემო და ბუნებრივი პირობები ხშირად ცვალებადი და არაპროგნოზირებადია.

როგორ უნდა დავგეგმოთ ადვოკატორების კამპანია?

განსაზღვრეთ პრობლემა, მიზანი, ამოცანები, სამიზნე აუდიტორია, მხარდამჭერები;
შექმენით შეტყობინება/გზავნილი;
შეარჩიეთ კომუნიკაციის გზები;
მოიძიეთ სახსრები;
მოამზადეთ სამოქმედო გეგმა და განახორციელეთ;
შეაგროვეთ მონაცემები და გააანალიზეთ;
განახორციელეთ მონიტორინგი და შეფასება.

მონიტორინგი - *პროცესზე დაკვირვება, ზედამხედველობა, არსებულ და მოსალოდნელ შედეგს შორის შესაბამისობის დადგენის მიზნით.*

ადვოკატირების გეგმა მოიცავს შემდეგს:

- **პრობლემა** - საკითხი, რომელიც მოითხოვს გადაწყვეტას.
- **მიზანი** - საერთო შედეგი, რომლის მიღწევაც გსურთ.
- **ამოცანები** - მიზნისაკენ მიმავალი ეტაპობრივი ნაბიჯები. ამოცანები უნდა იყოს: კონკრეტული - განხორციელებადი - გაზომვადი - დროში გათვლილი.
- **სამიზნე** აუდიტორია - პოლიტიკოსები, რომლებზედაც გსურთ გავლენის მოხდენა, რათა მხარი დაუჭირონ საკითხის გადაწყვეტას. ესენი შეიძლება იყვნენ პარლამენტარები, ადგილობრივი ადმინისტრაცია, სამინისტროების თანამშრომლები და სხვა.
- **მხარდაჭერის უზრუნველყოფა** - ალიანსების და **კოალიციების** შექმნა იმ ორგანიზაციებთან, ჯგუფებთან ან პიროვნებებთან, რომლებსაც სურთ პრობლემის გადაჭრაში მონაწილეობის მიღება.

კოალიცია - *კავშირი, გაერთიანება.*

შეტყობინების/გზავნილის შექმნა

სხვადასხვა აუდიტორიისათვის განსხვავებული (თითოეულისათვის შესაფერისი) შეტყობინების შექმნა, რომელიც განსაზღვრავს პრობლემას და მოუწოდებს კონკრეტული ქმედებისაკენ. შეტყობინებამ საზოგადოებას უნდა დაანახოს განსხვავება - რა არის და რა უნდა იყოს. შეტყობინება/გზავნილი უნდა იყოს თვალსაჩინო, მოკლე, მარტივი, ადვილად გასაგები, ადვილად დასამახსოვრებელი. აუცილებელია, ზუსტად განისაზღვროს, რისი თქმა სურთ კამპანიის ორგანიზატორებს და როგორ ამბობენ იმას, რისი თქმაც სურთ.

ბმულზე მოცემულია ინსტრუქცია ადვოკატირების კამპანიის დაგეგმვის შესახებ:
www.youtube.com/watch?v=wXJ9JWLKG50

- კომუნიკაციის არხები - სხვადასხვა სამიზნე აუდიტორიისათვის შეტყობინების მიწოდების გზები (მაგ. რადიო, ტელევიზია, სოციალური ქსელები (facebook, twitter, youtube და ა.შ.), საინფორმაციო ფურცლები, პრესკონფერენციები, შეკრებები).

როგორ წარვმართოთ პრეზენტაციის პროცესი?

- პრეზენტაციისას ილაპარაკეთ ხმამაღლა და მკაფიოდ, არც ძალიან ჩქარა და არც ძალიან ნელა;
- უყურეთ აუდიტორიას, რიგრიგობით შეაჩერეთ მზერა ყველაზე;
- პრეზენტაცია არ უნდა იყოს ხანგრძლივი;
- პრეზენტაციის დასრულებისას, მიეცით მსმენელებს საშუალება, დაგისვან კითხვები;
- დასასრულს მადლობა გადაუხადეთ აუდიტორიას ყურადღებისათვის.

საკუთარი პრეზენტაციების შექმნისას:

- მიუსადაგეთ ყველა რჩევა თქვენს კონკრეტულ პრეზენტაციას, იქნება ეს კლუბის წევრების შეხვედრა, პრეზენტაცია პოტენციურ პარტნიორთან, შემაჯამებელი პრეზენტაცია თუ სხვა.
- ჩამოაყალიბეთ პრობლემა და ვის საკეთილდღეოდ უნდა გადაიჭრას (ან გადაიჭრა) იგი.
- ნუ შეიჭრებით კვლევის მიმდინარეობის დეტალებში. ძირითადად, ისაუბრეთ კვლევის შედეგებზე. თუ ეს არის პროექტის შემაჯამებელი პრეზენტაცია, კვლევის ნაწილი შეგიძლიათ ცოტა უფრო დეტალურად აღწეროთ.
- როგორ ხედავთ პრობლემის გადაჭრის გზას და ვის მიერ. გარკვევით გამიჯნეთ ფუნქციები.
- რა კონკრეტულ დახმარებას ელით პარტნიორისაგან ან რა კონკრეტული დახმარება გაგინიათ პარტნიორმა.

დავალება

ქვემოთ მოცემულია ინფორმაცია წარმატებული თანამშრომლობის შესახებ. წარმოიდგინეთ, რომ ამ პროექტის ერთ–ერთ საწყის ეტაპზე მიმართავთ პოტენციურ პარტნიორს და ატარებთ პრეზენტაციას მასთან. რომელ 3 ძირითად საკითხს განიხილავდით პრეზენტაციისას?

პროექტის - „შეზღუდვების გარეშე“ დასკვნითი ღონისძიება ოზურგეთის მე-2 საჯარო სკოლაში

30 მაისს, ოზურგეთის მე-2 საჯარო სკოლაში, მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „კრისტალის“ მიერ დაფინანსებული მცირე საგრანტო პროექტის - „შეზღუდვების გარეშე“ შემაჯამებელი ღონისძიება გაიმართა.

პროექტი „შეზღუდვების გარეშე“ ითვალისწინებდა ოზურგეთში მცხოვრები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) ბავშვების საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობას, მათ ჩართვას სპორტულ აქტივობებში, ასევე, მათი მხარდამჭერი საინფორმაციო კამპანიის წარმოებას. სწორედ ამ მიზნის მისაღწევად ჩატარდა შეხვედრები ფსიქოლოგის, მშობლებისა და შშმ პირების მონაწილეობით, მოეწყო მხიარული სტარტები, სკოლის სპორტდარბაზი აღიჭურვა სპორტული ინვენტარით, გაკეთდა ეტლით გადასაადგილებელი ბილიკი სპორტული დარბაზის შესასვლელში. [...] შეხვედრის დასასრულს, გაიხსნა შშმ პირებისთვის განკუთვნილი პანდუსი, რომელიც სკოლის სპორტული დარბაზის შესასვლელში მოეწყო, რის შემდეგაც ღონისძიების მონაწილეებმა მოაწყვეს მსვლელობა ქალაქში და გაავრცელეს საინფორმაციო ბუკლეტები. www.civics.ge/index.php?m=6&newsid=708

USAID

PH international
ADVANCING SOCIETIES. CONNECTING PEOPLE

10ა

ეფექტური პრეზენტაცია

ეს რჩევები შეიძლება გამოადგეს ყველას, ვინც აპირებს პრეზენტაციას. განსაკუთრებით კი საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კვლევის ჯგუფებს. მახსოვდეთ, რომ, პოტენციურ პარტნიორთა დარწმუნებისას, პრეზენტაციის ხარისხს დიდი მნიშვნელობა აქვს. პრეზენტაციას აქვს ორი მნიშვნელოვანი ეტაპი: მომზადება და პროცესი

ეფექტური პრეზენტაცია

როგორ მოვამზადოთ პრეზენტაცია?

• წინასწარ განსაზღვრეთ პრეზენტაციის მიზანი (რას ემსახურება) და მისი მიზნობრივი ჯგუფი (ვის წინაშე აკეთებთ პრეზენტაციას);
• დაფიქრდით, რა შეიძლება იცოდეს მსმენელმა აღნიშნული თემის შესახებ;
• წინასწარ განსაზღვრეთ, რა გზავნილის მიტანას ცდილობთ მსმენელამდე;
• შეარჩიეთ, არაუმეტეს, სამი ძირითადი საკითხისა;
• ფურცელზე ან ეკრანზე პრეზენტაციისას, შეეცადეთ, არ გადატვირთოთ კადრი ტექსტითა და ციფრებით;.
• ტექსტი უნდა იყოს ლაკონური; მეტი თვალსაჩინოებისათვის, ციფრები, უმჯობესია, შეიცვალოს დიაგრამებით;
• წარმოჩენილი მასალა უნდა იკითხებოდეს შორიდან;
• თუ აპირებთ, გამოიყენოთ კომპიუტერი და პროექტორი, მაინც მოამზადეთ სათადარიგო პრეზენტაცია მათ გარეშე, რათა ელექტროენერგიის გათიშვამ ან ტექნიკის მწყობრიდან გამოსვლამ არ დაგაზარალოთ;
• მოამზადეთ დამატებითი მასალა მსმენელთათვის დასარიგებლად. ეს უნდა იყოს ინფორმაცია, რომლის ზეპირად დამახსოვრებაც მსმენელისთვის ძნელი, მაგრამ სასარგებლოა. კარგია, როცა ასეთი მასალა გათვლილია ყველა მსმენელზე;
• წინასწარ გაიარეთ პრეზენტაციის რეპეტიცია;
• უშუალოდ პრეზენტაციის დაწყებამდე ერთი ან ნახევარი საათით ადრე შეამოწმეთ, რამდენად გამართულად მუშაობს ტექნიკა.
• წინასწარ გაიარეთ პრეზენტაციის რეპეტიცია.

ეფექტური პრეზენტაცია

როგორ მოვამზადოთ პრეზენტაცია?

• დააკვირდით საგანმანათლებლო პროგრამის კვლევის შედეგების პრეზენტაციის ორ ვარიანტს.
პრეზენტაციის კადრები: ერთი და იგივე ინფორმაცია, მიწოდებული სხვადასხვა ფორმით. რომელი უფრო ადვილი აღსაქმელია მსმენელისათვის?

I.

• კვლევა ჩატარდა 2010, 2011 და 2012 წლებში;
• კვლევა ჩატარდა ქალაქისა და სოფლის სკოლებში;
• გამოკითხულთა რაოდენობა სოფელსა და ქალაქში იყო 100-100;
• მოცემულ პროგრამაში 2010 წელს მონაწილეობდა ქალაქად 30 მოსწავლე, სოფლად - 27;
• მოცემულ პროგრამაში 2011 წელს მონაწილეობდა ქალაქად 36 მოსწავლე, სოფლად - 42;
• მოცემულ პროგრამაში 2012 წელს მონაწილეობდა ქალაქად 56 მოსწავლე, სოფლად - 59;

II. პროგრამის მონაწილეთა რაოდენობის



27 ნოემბერი 2014

საქართველოს ბუნების მკვლევართა კავშირი „ორქისი”
პროექტი „დავასუფთაოთ საქართველო“ ინფორმაცია რუსთავის მუნიციპალიტეტში ჩატარებული შეხვედრის შესახებ

საქართველოს ბუნების მკვლევართა კავშირ „ორქისის” მიერ, 2014 წლის 17 ნოემბერს პროექტის - „დავასუფთაოთ საქართველო – საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და მისი ჩართვა მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვის გაუმჯობესების პროცესში“ (ფაზა II) - ფარგლებში, მოეწყო შეხვედრა რუსთავის მუნიციპალიტეტში, რომელსაც ესწრებოდნენ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის, საკრებულოს, მედიისა და სხვა წარმომადგენლები.

შეხვედრის მიზანს წარმოადგენდა საზოგადოების ცნობიერების ამაღლება ნარჩენების მართვის სფეროში. სემინარზე განხილულ იქნა შემდეგი საკითხები: ნარჩენების მართვის საერთაშორისო გამოცდილება, ნარჩენების მართვის დაგეგმვა, გარემოს დაბინძურებასთან დაკავშირებული ეკოლოგიური პრობლემები და დაბინძურებული გარემოს ადამიანის ჯანმრთელობაზე ზემოქმედება. გაიმართა მსჯელობა რუსთავის მუნიციპალიტეტში ნარჩენების პრობლემებთან დაკავშირებულ საკითხებზე. შეხვედრამ მონაწილეებს შორის დიდი ინტერესი გამოიწვია, რაც ადასტურებს საზოგადოების მოთხოვნას ცხოვრობდეს სუფთა გარემოში და აქტიური მონაწილეობა მიიღოს ნარჩენების პრობლემების გადაჭრის საკითხში.

პროექტს - „დავასუფთაოთ საქართველო – საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და მისი ჩართვა მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვის გაუმჯობესების პროცესში“ (II ფაზა) - ახორციელებს არასამთავრობო ორგანიზაციათა კონსორციუმი საქართველოს ბუნების მკვლევართა კავშირი „ორქისი“, საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები–საქართველო და მდგრადი განვითარების კავშირი „ეკოხედვა“, შვედეთის მთავრობის ფინანსური უზრუნველყოფით.

ადმინისტრაციული ოფიცერი
საქართველოს ბუნების მკვლევართა კავშირი „ორქისი“
მარჯანიშვილის ქ. 6, 0102, საქართველო, თბილისი
ტელ: (+995 32) 2960251; მობ.: (+ 995 595) 30 22 98
ელფოსტა: orchisge@yahoo.com, n.zubashvili@yahoo.com | www.orkisi.ge/news-72

დავალება

წაიკითხეთ ქვემოთ მოყვანილი ტექსტი. დავუშვათ, ამა თუ იმ წლის ამა თუ იმ დღეს (თვითონ მოიფიქრეთ) უნდა ჩატარდეს კონცერტი. გამოიყენეთ ტექსტში მოცემული შინაარსი და დაწერეთ პრესრელიზი სქემის მიხედვით.

გავაზის საჯარო სკოლის სამოქალაქო კლუბის წევრებმა საქველმოქმედო ღონისძიება ჩაატარეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანის დასახმარებლად, რომელსაც გადასაადგილებლად ესაჭიროებოდა ეტლი. მოსწავლეებმა ორგანიზება გაუკეთეს საქველმოქმედო კონცერტის ჩატარებას და facebook-ის გვერდზე დააანონსეს ინფორმაცია საქველმოქმედო კონცერტის მიზნების შესახებ. მოსწავლეთა ინიციატივას მხარდამჭერი გამოუჩნდა. სამშენებლო კომპანია „არქი ჯგუფის“ წარმომადგენლებმა საქველმოქმედო ღონისძიებაზე ეტლი მოიტანეს და ბენეფიციარს გადასცეს.

გარდა ამისა, ღონისძიებაზე შეგროვილი თანხა - 550 ლარი მოსწავლეებმა ბენეფიციარის ოჯახს გადასცეს. civics.ge/index.php?m=6&newsid=677

USAID
PH international
ADVANCING SOCIETIES. CONNECTING PEOPLE

10ბ

როგორ უნდა დაიწეროს პრესრელიზი?

როგორ უნდა დაიწეროს პრესრელიზი?

- რისთვის იწერება პრესრელიზი? - იმისათვის რომ, გაიზარდოს ინფორმაციის მედიაში მოხვედრის ალბათობა, მიეწოდოს ინფორმაცია დაინტერესებულ ორგანიზაციებსა და პირებს.

- როდის უნდა გავრცელდეს პრესრელიზი? - დროულად. თუ ის გავრცელდება მოვლენიდან დიდი ხნის შემდეგ, ის აღარ იქნება საინტერესო. უკეთესია მისი ერთი დღით ადრე გავრცელება. სწორედ ამ დროში მოასწრებენ ჟურნალისტები რეაგირებას. ან, უკიდურეს შემთხვევაში, უნდა გავრცელდეს იმავე დღეს, ღონისძიების დასრულებისთანავე.

- რა იწერება? - ახალი ამბავი, მაშასადამე, ინფორმაცია ცვლილების შესახებ. ეს ნიშნავს, რომ: რაღაც შესაძლოა მოხდეს, ან რაღაც მოხდება, ან უკვე მოხდა.

ინტერესი მეტია, როცა რაღაც ნამდვილად მოხდება, ან ეს-ესაა, მოხდა.

რადგან ცვლილებაზეა საუბარი, ავტორმა უნდა დაუსვას საკუთარ თავს კითხვა, რა ცვლილებას მოიტანს ეს ამბავი?

როგორ უნდა დაიწეროს?

პირველ აბზაცში უნდა მოხვდეს ის ყველაზე საინტერესო ფაქტი, რომლის გამოც იწერება პრესრელიზი. პირველმა აბზაცმა უნდა გასცეს პასუხი კითხვებზე: რა? სად? როდის? ვინ? რატომ? როგორ?

მეორე აბზაცში მოკლედ უნდა აღიწეროს საწყისი სიტუაცია და რით არის მნიშვნელოვანი მოცემული მოვლენა. აქ უნდა მოხვდეს ყველაზე მნიშვნელოვანი გზავნილი. დაიწეროს პარტნიორების შესახებ.

მესამე აბზაცში შესაძლებელია ვინმეს გამონათქვამის მოყვანა.

მეოთხე აბზაცში უნდა დაიწეროს, როდის დაარსდა ორგანიზაცია, რომელიც ავრცელებს პრესრელიზს და რა მიზანი აქვს მას.

ბოლოს აუცილებელია საკონტაქტო პირების ვინაობისა და მათი საკონტაქტო ინფორმაციის (ტელეფონის ნომერი, ელფოსტა, დანესებულების მისამართი) მითითება.

სათაური უნდა იყოს მოკლე და მიიქციოს ყურადღება, მაგრამ არ უნდა იმეორებდეს პირველი აბზაცის წინადადებას.

პრესრელიზის წარმოდგენა შესაძლებელია თავდაყირა მდგომი პირამიდის სახით, სადაც, თავდაპირველად, მოცემულია ყველაზე მნიშვნელოვანი ინფორმაცია და შემდეგ ნაკლებ მნიშვნელოვანი.



(სახელი) სასკოლო სამოქალაქო კლუბის პრესრელიზი
გავრცელების თარიღი
სათაური

საკონტაქტო პირების ვინაობა და მათი საკონტაქტო ინფორმაცია (ტელეფონის ნომერი, ელფოსტა, დანესებულების მისამართი).

გამოყენებული ლიტერატურა

„ინსტრუქციები სასკოლო სამოქალაქო კლუბის მუშაობისთვის“

1. გვარამაძე ნ., მიწიშვილი ნ. „თანამშრომლობა საზოგადოებრივი სარგებლისათვის“, სამოქალაქო განათლების დამხმარე სახელმძღვანელო X კლასისათვის, თბილისი, 2011
2. გიორგიძე ნ. „სასკოლო სამოქალაქო კლუბის სახელმძღვანელო“, გზამკვლევი სამოქალაქო ინიციატივებისათვის, თბილისი, 2011
3. სამოქალაქო განათლების ლექსიკონი www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=16562
4. საჯარო სკოლების წესდება www.matsne.gov.ge/index.php?option=com_ldmssearch&view=docView&id=61480&lang=ge
5. უცხო სიტყვათა ლექსიკონი (შემდგენელი მ.ჭაბაშვილი), „განათლება“, თბილისი, 1973
6. უცხო სიტყვათა ლექსიკონი (შემდგენელი ს.თეზელიშვილი), თბილისი, 2005
7. წულაძე ლ. „რაოდენობრივი კვლევის მეთოდები სოციალურ მეცნიერებებში“, თბილისი, 2008
8. სწავლისა და სწავლების ახალი მიდგომები თბილისი 2004 – საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
9. ა. ქეშელაშვილი, თ. ნაჭყებია, გ. პაიჭაძე, ს. ასათიანი „ვიდეო ადვოკატირება–აქტიური მოქალაქის სახელმძღვანელო“ 2013
10. პროექტის წერისა და მართვის სახელმძღვანელო, ქუთაისის განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრი. ქუთაისი 2011 წლის მარტი

გამოყენებული ლიტერატურა

„ინსტრუქციები სასკოლო სამოქალაქო კლუბის მუშაობისთვის“

11. www.civics.ge
12. www.kedec.ge/page/9/
13. www.libclubblog.wordpress.com/wesdeba/
14. www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=index&d=6/
15. www.youtube.com/watch?v=NBVAROz4sQY
16. www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=3&t=30830
17. www.youtube.com/watch?v=8P0EBdKpY_c
18. www.youtube.com/watch?v=KGuwLF9fG_c
19. www.youtube.com/watch?v=Ti3s-1pQ6Pg&NR=1
20. www.youtube.com/watch?v=mU4wjF1zy1s
21. www.kedec.ge/news/806--.html
22. www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=5272
23. www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=4669
24. www.youtube.com/watch?v=wXJ9JWLKG50
25. www.youtube.com/watch?v=jtuPhf0ylwY
26. www.youtube.com/watch?v=t4WiaNvXAuo
27. www.moe.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=40&info_id=1593
28. www.youtube.com/watch?v=MRt4lEXkDJs
29. www.initiatives.ge
30. www.civicsnet.ge
31. www.facebook.com/civicinitiatives/
32. www. civicclubforg.wordpress.com/
33. www.youtube.com/watch?v=EJVCRj23w1U
34. www.orkisi.ge/news-72